გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№97 (992) 13 - 14 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ხელისუფლება ვაშლის 8-თეთრიან სუბსიდირებას იწყებს



გვ. 3

ოთარ დანელია ივანიშვილთან ნათესაობას უარყოფს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმატებულ პროექტებზე საუბრობს

## „უწმინდესი შეცდომაშია შეყვანილი!"

სკანდალური ინტერვიუ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ არჩილ ხომასურიძესთან



აბორტი, ხაშლამით გამძღარი „ტაბურეტკიანი" მღვდლები და პოლიტიკური პროსტიტუცია

გვ. 4

## კობა ხაბაზი: „ოცნება" ქირაა!



გეგმა, რომლითაც „თავისუფალი ზონა" ხელისუფლებასთან ბრძოლას აპირებს

გვ. 5

## „პუტინი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლია!"



უშიშროების საბჭოს მდივნის, ირინა იმერლიშვილის საგარეო თეზისები

გვ. 2

## ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, „სავანე" გამომძალველთა სავანედ რჩება

გვ. 6



## რუსთავის №17 ზონიდან 7 სვანი პატიმარი გაიქცა



გვ. 8

პატიმრის დღიური

## ეს უკვე შეუძლებელია! ეს უკვე მკვლელობაა!

კონსერვატორიის სტუდენტების განცხადება

გვ. 7

# „პუტინი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლია!“

რუსუდან შელია
557-100-768

**„პუტინი ჩემთვის საინტერესოა, როგორც საქართველოსთვის ყველაზე რთული საკითხების რეალურად გადამწყვეტი ადამიანი. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, რაციონალური პოლიტიკის მომხრეა და, ჩვენი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ მომენტში ქართულ-რუსული ურთიერთობების აგება შესაძლებელი იქნება“, — ამბობს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია, რომელიც პუტინთან შეხვედრას არ გამორიცხავს. რას გულისხმობს „პუტინის რაციონალურ პოლიტიკაში“ და გახდა თუ არა გიორგი მარგველაშვილი საქართველოს უახლოეს ისტორიაში მეორე ოპოზიციონერი პრეზიდენტი? — „ვერსიის“ კითხვებს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი პასუხობს.**




— სამშობლოსთვის პუტინი მართლაც რაციონალური პოლიტიკის მომხრეა, რაც მისი ქმედებებიდანაც კარგად ჩანს, თუმცა იგივეს საქართველოსთან მიმართებაში ვერ გავიმეორებ. მიუხედავად ამისა, ვეთანხმები აზრს, რომ პუტინი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლია.

— **ათწლიანი მმართველობის, 2008 წლის ომისა და რუსეთის საგარეო უწყების ბოლოდროინდელი ოფიციალური განცხადებების ფონზე, პუტინს რაციონალური პოლიტიკის მიმდევრად რატომ მიიჩნევთ, თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კრემლთან სხვა ტიპის ურთიერთობები ყალიბდება?**

— 2008 წლის ომი და რუსეთის ოფიციალური განცხადებები არ ნიშნავს, რომ პუტინს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ხანგრძლივი და მძიმე პრობლემების გადაჭრა არ შეუძლია. მთავარია, ამის სურვილი რამდენად ექნება. აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალსახად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მოგეხსენებათ, არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით საკმაოდ ინტენსიურად ვმუშაობთ და შედეგიც სახეზეა — საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ აღიარა. ისიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის შედეგია, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნები რუსეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაბათილებისკენ მოუწოდებენ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამხედრო ძალის გაყვანაზეც მიუთითებენ. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა და მსგავსი ტიპის ჩანაწერი რეზოლუციაში არასოდეს ყოფილა. პარალელურად, რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული არ არის და ამით მხოლოდ თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ვცდილობთ. სტაბილური საქართველო რეგიონის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტია და არ მგონია, რუსეთსაც თავის საზღვართან არეული და არასტაბილური ქვეყნის არსებობა უნდოდეს. პირიქით, რაც უფრო ძლიერი მეზობელი ეყოლება, რუსეთისთვისაც უკეთესია.

— **ქალბატონო ირინა, რუსეთის რამდენიმესაუკუნოვან პოლიტიკას თავი რომ დავანებოთ, თქვენთვის ვერც უკრაინის მაგალითი გახდა საკმარისი, სადაც პუტინი მეზობელ ქვეყანაზე გავლენის მოპოვებას სწორედ მისი მაქსიმალური დასუსტებით ცდილობს. ამ ილუზიების მართლა გჯერათ თუ ყველაფერი დიპლომატიის ნაწილია?**

— ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმეს მოტყუებას ან თავის მოქონვას ვცდილობ, პირიქით მეც და პრეზიდენტსაც გულწრფელად გვჯერა. ლოგიკაც ამას გვკარნახობს და, მიუხედავად იმისა, რუსეთი გვეთანხმება თუ არა, პროცესს ძალისხმევა არ უნდა დავაკლოთ. დასავლელი პარტნიორებიც მოგვიწოდებენ, რუსეთის გაღიზიანება კი არა, მასთან არსებულ პრობლემებზე საუბარია საჭირო. ასეთი დამოკიდებულება დამოუკიდებლობის დათმობას სულაც არ ნიშნავს. ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარს არასოდეს ვიტყვით — ეს ჩვენი ხელისუფლების არჩევანი არ არის.

— **ფიქრობთ, რუსეთი და ნატო თავსებადია?**

— დიახ, ჩემი აზრით, თავსებადია. რუსეთთან ურთიერთობა, თუნდაც სავაჭრო და კულტურული თვალსაზრისით, უკვე დაიძრა. იმედი მაქვს, ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

— **მოგწონთ, როცა მოსკოვის ცენტრში ქართველები „თბილისობას“ აღნიშნავენ და არც იმის წინააღმდეგი ხართ, საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე „მასლინიცა“ აღინიშნოს?**

— ეს ნამდვილად არ მომწონს და არც იმ ადამიანებისა მესმის, რომლებიც ერთი წლის წინ მოსკოვში „ერისიონის“ კონცერტს აპროტესტებდნენ, დღეს კი იქ თავად ამღერდნენ, თუმცა ეს მათი არჩევანია.

— **გიორგი მარგველაშვილი პუტინთან შეხვედრისთვისაც ხომ არ ემზადება?**

— ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, არავინ მუშაობს, თუმცა ოდესღაც ეს შეხვედრა უნდა შედგეს. მნიშვნელობა არ აქვს, პუტინს პრეზიდენტი შეხვდება თუ პრემიერი, ან მომავალი ხელისუფლების პირველი პირები, დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად დიალოგი აუცილებელია. ამ ეტაპზე, ეს ფონი არ არსებობს, შეხვედრა შეხვედრისთვის კი არავის სჭირდება.

— **ბოლო დროს პრეზიდენტის ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებული პირების გათავისუფლება თუ ვიზიტებზე პრემიერთან დავა საბოტაჟად აღიქმება. საგარეო საქმეთა მინისტრი ღიად მიანიშნებს, რომ მარგველაშვილმა ქართულ დელეგაციას შეხვედრებზე დასწრების შესაძლებლობა არ მისცა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ახალი ოპოზიციური ძალა ხომ არ ყალიბდება?**

— როგორც ვიცი, პატიმრების საკითხს კომისია განიხილავს. პირადად მე, არც საგარეო ვიზიტების მომზადებაში ვარ ჩართული და ყველა შეხვედრას არც უელსის სამიტზე დავსწრებივარ. პირველი შეხვედრა კი რასმუსენთან იყო, რომელსაც ქალბატონი მაიაც ესწრებოდა... მთავარი შედეგია — დელეგაციამ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა და ის დოკუმენტი, რომელიც უელსის სამიტიდან წამოვიღეთ, ქვეყნისთვის მართლაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სხვა ინფორმაცია არ მაქვს და საკითხზე ვრცლად საუბარიც არ შემიძლია.

— **რაც შეეხება უშიშროების საბჭოს, არ ფიქრობთ, რომ უწყება ფორმალურ სტრუქტურად იქცა? — ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი სხდომა ჩაატარეთ, რომელსაც პრემიერი არ დაესწრო.**

— უშიშროების საბჭო, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფორმალურ უწყებად ვერ იქცევა. საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტი საკმაოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს. მაგალითად, ქვეყანაში საომარ თუ საგანგებო მდგომარეობას, გიორგი მარგველაშვილის გარდა, ვერავინ გამოაცხადებს. უამრავი სხვა საკითხია, რომელსაც უშიშროების საბჭო ან პრეზიდენტი წყვეტს. ამ ტიპის წყობის ქვეყანაში უშიშროების საბჭო ერთადერთი ორგანოა, სადაც პრეზიდენტს ურთიერთობა აქვს მთავრობასთან და მეორე მხრივ, პარლამენტთან... ვფიქრობ, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საბჭოს კომპეტენციის გამიჯვნა აუცილებელია. ჯერ კიდევ პარლამენტის წევრი ვიყავი, როცა ირაკლი სესიაშვილსა და ვახტანგ ხმალაძესთან ერთად ეს პროექტი წარვადგინე. ამასობაში, პრემიერის სათათბირო ორგანოც შეიქმნა, რომელთანაც საკმაოდ ხშირი ურთიერთობა გვაქვს. კრიზისებს მართვა სწორედ ამ საბჭოს მეშვეობით ხდება და მასთან მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ.

— **როცა პარლამენტის წევრი იყავით, ყოფილი პრეზიდენტის ხარჯი გაასაჯაროეთ, პრეზიდენტი მარგველაშვილი კი სააკაშვილისთვის ბრალის წასაყენებლად ფინანსურ დოკუმენტებს გრიფს „საიდუმლო“ ერთი თვის განმავლობაში არ ხსნიდა. ამასობაში, ევროპარლამენტმა საქართველოს მიმართ მკაცრი რეზოლუცია მიიღო...**

— იმედი მაქვს, ხელისუფლება მოახერხებს, ერთი მხრივ, ყველა დამნაშავე დასაჯოს, მეორე მხრივ კი ქვეყნის შიგნით და გარეთ გამოძიებაში არსებულ კითხვებს უპასუხოს. ყველა დამნაშავემ უნდა იცოდეს, პრეზიდენტია თუ რიგითი ჩინოვნიკი, რომ კანონდარღვევის შემთხვევაში, დაისჯება. ეს პრეცედენტი ქვეყანაში უნდა შეიქმნას, თუმცა აუცილებელია, პროკურატურამ მყარი მტკიცებულებები წარმოადგინოს. პრეზიდენტს კი, ვადა არ დაურღვევია, პირიქით, ვადის ფარგლებში მოხსნა გრიფი. სამწუხაროა, რომ ეს საკითხი პროკურატურამ სააშკარაოზე ვადაზე ადრე გამოიტანა, არადა ეს საიდუმლო მიმოწერა იყო. მსგავსი ტიპის ურთიერთობა პრეზიდენტს, პროკურატურას ან მთავრობას კი არა, სახელმწიფოს აზარალებს. სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი პატივისცემა ყველას ევალება. მიუხედავად იმისა, პიროვნება მოგწონს თუ არა.

**სხვათა შორის, ორი დღის წინ, პარლამენტი უშიშროების საბჭოს რეფორმირების საკითხსა და მასთან დაკავშირებით ინიცირებული პროექტის განხილვას დაუბრუნდა. საუბარია კანონპროექტზე, რომელიც 2013 წლის საშემოდგომო სესიაზე პირველი მოსმენით მიიღეს, მაგრამ მთელი რიგი საკითხების გარშემო პოზიციების შეუჯერებლობის გამო, განხილვა შეჩერდა. პროექტით, ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენცია მხოლოდ სამხედრო აღმშენებლობასა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხებით შემოიფარგლება. ამავე კანონპროექტით, ფინანსთა მინისტრის ნაცვლად, ეროვნული უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, ასევე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეები და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იქნებიან.**

## ვერსიანიუსი

### ნაციონალურმა მოძრაობამ სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატისტიკა გამოაქვეყნა




ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 11000-ზე ოდნავ მეტ სტუდენტს. 2013 წლის იანვარში — 22000 სტუდენტს. 2013 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით 28 000-ზე მეტს (მათ შორის 8000-ზე მეტს ფინანსური დავალიანების გამო). 2014 წლის იანვრისთვის უკვე 33 000-ზე მეტს (მათ შორის 11000-ზე მეტს ფინანსური დავალიანების გამო). უკანასკნელი მონაცემებით, სტატუსი შეჩერებული აქვს უკვე 38000 სტუდენტზე მეტს.

ეს პრობლემა რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: 1. მთავარი პრობლემა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა. სავალალო დინამიკა სწორედ ამ ტენდენციის მაჩვენებელია. შვილების განათლებაზე გაწეული დანახარჯი საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ტენდენციის ცვლილება, მოსახლეობის შემოსავლების აშკარა კლებაზე მეტყველებს. 2. მთავრობა და განათლების სამინისტრო სტუდენტებზე გაწეულ თანხებს არარაციონალურად და უსამართლოდ ანაწილებს. მაგ. დაფინანსების ძველი წესის შემთხვევაში დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდებოდა ორჯერ (100%-იანი, 70%-იანი, 50%-იანი და 30%-იანი გრანტები) და მიაღწევდა დაახლოებით 16000 სტუდენტს. ამის ნაცვლად, შარშან დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა დაახლოებით 9000 იყო. 3. 2013 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული 5 მილიონი ლარი არ გაიხარჯა სტუდენტებზე და გადავიდა სხვა მუხლში.

2013-2014 წლებში სტუდენტებს 10 მილიონი ლარის დაფინანსება დააკლდათ, ამ თანხით შესაძლებელი გახდებოდა დამატებით 8000 სტუდენტის დაფინანსება. 4. განათლების სამინისტრო არ ახალისებს ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომლითაც დარეგულირდება ალტერნატიული გადახდის შესაძლებლობა. შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიდგას რამდენიმე ნაბიჯი: 1. სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის 2015 წლის ბიუჯეტში მიზნობრივად უნდა განისაზღვროს 10 მლნ. ლარი. ეს ის თანხაა, რაც სტუდენტების დაფინანსებას დააკლდა 2013-2014 წლებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები სამინისტრომ სრულად არ გახარჯა და წელსაც, ბიუჯეტით ნაკისრი ვალდებულებები განათლების სამინისტროს მხოლოდ 79% პროცენტით აქვს შესრულებული. 2. შეიცვალოს დღეს არსებული დაფინანსების სისტემა და აღდგეს დაფინანსების ძველი წესი. არსებული თანხით შესაძლებელი გახდება ორჯერ მეტი სტუდენტის დაფინანსება;

უნდა განხორციელდეს ორი კანონცვლილება: 3. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს უფლება მიეცეს, უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის), სწავლის საფასურის სანაცვლოდ მოითხოვოს სამხედრო სამსახურის გავლა. 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თავისუფალი მსმენელის ან სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საფეხურზე ჩარიცხვის შემდეგ ჩაითვალოს გასავლელი აკადემიური პროგრამის უკვე დაძლეულ ნაწილად, — აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

ნაციონალური მოძრაობის წევრები განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვედრასა და აღნიშნული პრობლემების განხილვას სთავაზობენ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ხელისუფლება ვაშლის 8-თეთრიან სუბსიდირებას იწყებს



## ოთარ დანელია ივანიშვილთან ნათესაობას უარყოფს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმატებულ პროექტებზე საუბრობს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა: ორი წლის განმავლობაში, მთელ ქვეყანაში, უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მიწები მოიხნა და დამუშავდა. „ოცნების“ პირველმა რთველმაც კარგად ჩაიარა, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არც სკანდალი მოკლებია, რასაც მაშინდელი მინისტრის გადადგომა მოჰყვა. დავით კირვალიძის შემცვლელიც თანამდებობას მალე გამოემშვიდობა და ივლისში, პრემიერმა სოფლის მეურნეობის მინისტრად ოთარ დანელია დანიშნა, რომელიც გამინისტრებამდე წინამორბედის, შალვა ფიფიას მოადგილე იყო. ამბობენ, რომ მინისტრად ბიძინა ივანიშვილის ნათესაობის გამო დანიშნეს, თუმცა ოთარ დანელია „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღიარებს, ივანიშვილს არ ვიცნობ, მაგრამ სიამოვნებით გავიცნობდი და იმედი მაქვს, მალე შევხვდებიო... როგორ მიმდინარეობს რთველი კახეთში, რა აწუხებს კახელ გლეხებს და რატომაა გრძელი რიგი ღვინის ქარხნებთან? რატომ აღარ სჭირდება „საფერავს“ სუბსიდირება და რატომ დაიწყო სახელმწიფომ „ვაშლის გამყიდველების“ დახმარება? — „ვერსია“ სოფლის მეურნეობის მინისტრს ესაუბრა.**

**— ბატონო ოთარ, რთველი როგორ მიმდინარეობს?**

— ბოლო მონაცემებით, 156 473 269 ლარის ღირებულების, 116 639 ტონა ყურძენია დაბინავებული, არადა, რთველი ჯერ არ დასრულებულა. ეს მართლაც სერიოზული ციფრია, რადგან შარშან, მთლიანობაში, 108 000 000 ლარის ღირებულების, 92 371 ტონა ყურძენი ჩაბარდა. როგორც ხედავთ, წელს, შარშანდელთან შედარებით, მინიმუმ, 50%-იანი მატებაა. რაც შეეხება ყურძნის ფასს, წელს მაღალი ფასი დაფიქსირდა, სახელმწიფო ფასთა სისტემაში არ ჩარეულა და არც არასოდეს ჩაერევა, მხოლოდ ხელს ვუწყობთ. წელს, საფერავზე 15-თეთრიანი სუბსიდირება შევინარჩუნეთ, მაგრამ გაისად საფერავზე სუბსიდირება აღარ გვექნება...

**— სუბსიდირება საფერავს აღარ დასჭირდება თუ სახელმწიფო, ზოგადად, სუბსიდირებას შეწყვეტს?**

— ჯერ განვმარტოთ, რა არის სუბსიდირება. როდესაც სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი სტაბილურად ვერ ვითარდება და ხელშეწყობა სჭირდება, ამ დროს, სუბსიდირება დახმარების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ელემენტია. როგორც კი, სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ვნახავთ, რომ დარგი სტაბილურად და დამოუკიდებლად ვითარდება ანუ დამატებითი ზემოქმედება აღარ სჭირდება, სახელმწიფომ ამ დარგის სუბსიდირება უნდა შეწყვიტოს. „საფერავის“ მაგალითზე აშკარად გამოჩნდა, რომ ხელშეწყობა აღარ სჭირდება, რადგან 1 კგ საფერავის ფასი, გარანტირებულად, 1 ლარზე მეტი იქნება.

**— გასაგებია, მაგრამ კახელ გლეხებს პრობლემები შეექმნათ — ღვინის ქარხნებთან გრძელი რიგის მიზეზი რა გახდა?**

— ამ პრობლემებს რამდენიმე ობიექტური გარემოება ქმნის, ბუნებრივია, გლეხს ყოველთვის მეტი შემოსავალი უნდა. მეტის მოლოდინი კი იმიტომ აქვს, რომ სტატისტიკურ მონაცემებს ვეყრდნობით და წლევანდელ მაჩვენებლებს, შარშანდელთან ვადარებთ. ქართველები ოპტიმისტები ვართ და მუდამ ვფიქრობთ, რომ მომავალი წელი შარშანდელზე უკეთესი იქნება, მათ შორის, მატერიალური თვალსაზრისითაც. ამას კი ერთი გარემოება უშლის ხელს — საქართველოში საერთაშორისო ბირჟის ფასები არ მოქმედებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ადგილობრივი საფასო ტარიფი მუშაობს და ამიტომ დისბალანსი არ იცვლება. წლევანდელი რთველიდან გამომდინარე, ეს ნიუანსები შევამჩნიეთ, მაგრამ კერძო ბიზნესში ვერ ჩავერევით, თუმცა ბალანსის შესანარჩუნებლად, ყველაფერს გავაკეთებთ, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს შეუძლია და ამას მომავალი წლიდან დავიწყებთ. მარტივ მაგალითზე აგიხსნით, რას ვგულისხმობ: შესაძლოა, რომელიმე ღვინის ქარხანამ ყურძენი 3.20 ლარად ჩაიბარა, ამის შემდეგ კი, ყურძენი 1.50 ლარი გახდა... აი, სწორედ ამ ტიპის პრობლემა შეიქმნა კახეთში, მაგრამ გპირდებით, სახელმწიფო ამას არ დაუშვებს და ბალანსს შეინარჩუნებს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 1 კგ ყურძნის ფასი — 1.50 ლარი საკმაოდ მაღალია, რადგან საფრანგეთში, ანალოგიური ყურძენი, მხოლოდ 30-40 ევროცენტი ღირს. საერთოდ, ყურძნის მაღალი ფასი ხარისხსა და ადგილწარმოშობაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი მეწარმე კი, „არაეთიკურად“ იქცევა.

**— ბატონო ოთარ, სახელმწიფო ვითარებას როგორ დააბალანსებს — ყურძნის ფასზე ზედა ზღვარს დააწესებს?**

— არა, ზღვარი საერთოდ არ იქნება. ისეთი ელემენტების დარეგულირებას ვგულისხმობ, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციაა, რათა დისბალანსის საფრთხე მაქსიმალურად ავიცალოთ... მეორე პრობლემა, რაც წლევანდელ რთველში გამოჩნდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციას უკავშირდება, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ახლადდანიშნულები იყვნენ. მათიც კარგად მესმის, რადგან ძალიან მოკლე დროში, ამხელა დატვირთვის ანუ რთვლის წინაშე აღმოჩნდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც გლეხმა არ იცოდა, ვისთვის უნდა მიემართა, არადა, რთველს სპეციალურად შექმნილი შტაბი ხელმძღვანელობდა, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა. სოფლის რწმუნებულთან უნდა შემდგარიყო ყურძნის კრეფის პროპორციული სია და იქ, სადაც ასეთი სიები შედგა, რთველმა ხარვეზების გარეშე ჩაიარა. იქ კი, სადაც გლეხმა არ იცოდა, ვისთვის მიემართა, გარიგებაში კერძო პირებთან ანუ შუამავლებთან შედიოდა. შუამავლები ხშირად არაკეთილსინდისიერად იქცეოდნენ და გლეხების უკმაყოფილების მიზეზიც ეს იყო. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ კომუნიკაცია თითოეულ ოჯახთან გვქონოდა და სწორედ შტაბისთვის მიემართა, სადაც ყველა უწყებაა ჩართული, მათ შორის, შსს, საფინანსო პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფლება.

**— თუკი წელს, შარშანდელთან შედარებით, 50%-ით მეტი ყურძენი მოიკრიფა, გამოდის, ექსპორტი გაიზრდება?**

— თუ შარშან ექსპორტზე 46 000 000 ბოთლი გავიტანეთ, წელს, ცხრა თვის მონაცემებით, 43 000 000 ბოთლი გავიდა, რაც მართლაც, კარგი მონაცემებია. ბუნებრივია, ექსპორტის ზრდას ხელს ისიც უწყობს, რომ ევროპის ბაზარი გაგვეხსნა. ამჟამად ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე გადის და მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მიმართულებით, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ, მაინც აქტიურად ვმუშაობთ ბაზრების დივერსიფიცირებაზე. გვინდა, საექსპორტო არეალი გაიზარდოს და ამ მიზნით, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად, ჩინეთში გახლდით. ბაზრის დივერსიფიცირება მნიშვნელოვანია, რათა ექსპორტი დავაბალანსოთ და რისკები მინიმუმამდე დავიყვანოთ.

**— ციტრუსის სეზონი ახლოვდება — ამ კუთხით წელს რა მოლოდინი გაქვთ?**

— ციტრუსამდე, ჯერ ვაშლის სეზონი გვექნება. ვაშლზე სუბსიდირება დავაწესეთ, რადგან ბირჟაზე კონცენტრატის ფასი განახევრდა. შესაბამისად, არასტანდარტული, ე.წ. „ენესის“ ტიპის ვაშლი, რეალიზაციის საფრთხის წინაშე დადგა. დავადგინეთ, რომ 1 კგ. ვაშლი 2.0-დან 2.5 თეთრამდე ღირებოდა, რის გამოც ხალხი ვაშლს აღარ დაკრეფდა და ამას დიდი უკმაყოფილება მოჰყვებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კილოგრამი ვაშლის ფასი 10 თეთრი ყოფილიყო, შესაბამისად, სახელმწიფო 8-თეთრიან სუბსიდირებას აწესებს, გადამამუშავებელ საწარმოს კი მხოლოდ 2 თეთრის დამატება მოუწევს. ერთი მხრივ, გლეხი დავაზღვიეთ, რომელიც გარანტირებულ 10 თეთრს მიიღებს და მეორე მხრივ, გადამამუშავებელი საწარმოც, რომელიც რენტაბელურად იმუშავებს და არ გაჩერდება. ასეთი მიდგომის შედეგია, რომ უკვე 100 000 ტონაზე მეტი ვაშლია გადამუშავებული და „ვერსიის“ მკითხველს ექსკლუზიურად ვეუბნები, რომ ვაშლის სუბსიდირება რაჭაშიც დავიწყეთ.

რაც შეეხება ციტრუსს, სავარაუდოდ, შარშანდელზე ცოტა ნაკლები იქნება, მაგრამ საორგანიზაციო საკითხები გავიარეთ და მზად ვართ, გადავწყვიტოთ, დაგვჭირდება თუ არა ციტრუსის სუბსიდირება. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდება, შესაძლოა, ციტრუსს სუბსიდირება არც კი დასჭირდეს. აქ იმაზე არ არის საუბარი, სახელმწიფოს უნდა თუ არა, მთავარია, სუბსიდირება დარგს სჭირდება თუ არა. თუ დავინახავთ, რომ მოთხოვნა დიდია და რეალიზაცია რისკს არ წარმოადგენს, ცხადია, სუბსიდირება საჭირო აღარ იქნება.

**— სტიქიამ აჭარასა და გურიას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების კუთხით, რა რაოდენობის ზარალი მიაყენა?**

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქცია სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის აღწერაა და არა — ანაზღაურება. სწორედ ამიტომ შემოვიღეთ აგროდაზღვევა, რომელიც ამ ტიპის ზარალს ფარავს. სხვათა შორის, სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგს“ უკვე დაუდგა პერიოდი, როდესაც ამ ტიპის ზარალის ანაზღაურება მოუწევს. ვნახოთ, როგორ აანაზღაურებს ზარალს სადაზღვევო კომპანია, თან ეს ძალიან კარგი მაგალითი იქნება სხვებისთვისაც. საერთოდ, სახელმწიფოს ფუნქციაა, სეტყვის საწინააღმდეგო და სხვა ტიპის დამცავი საშუალებები შექმნას, აგროდაზღვევის პროგრამა განახორციელოს, რათა ფერმერული მეურნეობა განვითარდეს.

**— როგორ მიმდინარეობს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, როგორ ეხმარება სახელმწიფო ფერმერებს?**

— ეს პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, 2013 წლის საგაზაფხულო სეზონიდან დაიწყო. პროექტი მცირემიწიანი ფერმერების ერთწლიანი კულტურების წარმოებაში ჩართულობის სტიმულირებასა და ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბებას გულისხმობს. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დაწყებული სამწლიანი პროგრამის პირველი ნაწილი — „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის 2013 წლის პროექტი“ წარმატებით განხორციელდა და დიდი ხნის პაუზის შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი თითქმის სრულად დამუშავდა. „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ მიერ, 2013 წლის საგაზაფხულო პროგრამისა და „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, 710 385-მა ბენეფიციარმა, 195 545 543 ლარის ღირებულების დახმარება მიიღო. ეს პროექტი, როგორც სამწლიანი პროგრამის მეორე ნაწილი, 2014 წელსაც გაგრძელდა. წელს, პროექტში ჩართულმა ფერმერებმა ორი სახის ბარათით ისარგებლეს: ნიადაგის ხვნის სამუშაოებისთვის სასოფლო-სამეურნეო ბარათი დარიგდა, სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად კი ფერმერებმა საბანკო ანუ „აგრობარათით“ მიიღეს. მიმდინარე წლის აპრილიდან, ქვეყნის მასშტაბით, ფერმერებმა „აგრობარათები“ ლიბერთი ბანკის ფილიალებში აიღეს. 2014 წელს, ამ პროექტით 757 214 ბენეფიციარმა ისარგებლა და 82 579 699 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო.

**— შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, სულ რა მოცულობის კრედიტები გაიცა?**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი შეიმუშავა, რომელსაც „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ აფინანსებს, „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ კი ახორციელებს. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, 2013 წლის 27 მარტს დაიწყო და წარმატებით ხორციელდება. პროექტის მიმდინარეობის პარალელურად, მუდმივად მუშავდება ახალი კომპონენტები. თავდაპირველად, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი მხოლოდ 3 კომპონენტისგან შედგებოდა, ამ ეტაპზე კი მასში 8 კომპონენტია თავმოყრილი. 2014 წელს, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ბიუჯეტი 34 400 000 ლარით განისაზღვრა. პროექტში 13 კომერციული ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა ჩართული. საერთო ჯამში, 2014 წლის 3 ოქტომბრის მონაცემებით, 21 644 მსესხებელზე 526 001 194 ლარის სესხი გაიცა.

**— 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 291 000 000 ლარია გამოყოფილი, ეს თანხა საკმარისია?**

— საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან, სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებისთვის 100 000 000 ლარია გამოყოფილი, შეღავათიანი აგროკრედიტებისთვის — 36 000 000, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისათვის კი — 50 000 000. ახალი ბიუჯეტით გაცილებით დიდ ეფექტს მივიღებთ, რადგან ყველა კომპონენტი დეტალურადაა დამუშავებული. საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი მოდის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვითარებაზე, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების ფუნდამენტად უნდა იქცეს.

ვერსიანიუსი



## პატიმრის ახლობლებმა ხელები ხეზე მიიჭედეს

პატიმარ რუსლან პერტაიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ქუთაისში, სასჯელაღსრულების №2 დაწესებულების წინ, ლურსმნებით ხეზე ხელები მიიჭედეს. ისინი რუსლან პერტაიას რამდენიმე თვეა უდანაშაულოდ მიიჩნევენ და ციხიდან მის გათავისუფლებას ითხოვენ. ისინი, ასევე, ითხოვენ, რომ საქმე ძიებაში მთავარ პროკურატურას გადაეცეს და პატიმარი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ მოინახულოს.

პერტაიას ახლობლების თქმით, მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პროტესტის უფრო მძიმე ფორმებს მიმართავენ. მათივე განცხადებით, რუსლან პერტაია უდანაშაულოა და იგი ზუგდიდში პოლიციელებმა უკანონოდ სცემეს, საქმე კი დღემდე გამოუძიებელია.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „უწმინდესი შეცდომაშია შეყვანილი!“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16



**აბორტი, უშვილობა, ოჯახის დაგეგმვის კულტურის არქონა, კონტრაცეპცია — ეს მარადუკვდავი თემები მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელი ცივილიური მსოფლიოს პრობლემაა. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ზუსტად ისეთივე სტატისტიკაა, როგორიც ყველგან... იატაკქვეშა აბორტების მითებსა და რეალობაზე, ასევე, უშვილობისა და სხვა პრობლემებზე „ვერსიას“ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე ესაუბრა.**

## აბორტი, ხაშლამით გამძღარი „ტაბურეტკიანი“ მღვდლები და პოლიტიკური პროსტიტუცია — სკანდალური ინტერვიუ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ არჩილ ხომასურიძესთან

**— ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში 40 000 რეგისტრირებული აბორტია. ეს საგანგაშოა?**

— ხაზგასმით ვამბობ: საგანგაშო არაფერი ხდება — საქართველოში აბორტი დამარცხებულია და ფეხზე ველარასოდეს დადგება, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჩვენმა ქალებმა ინფორმაციული ვაკუუმი გაარღვიეს და ყველამ იცის, რომ აბორტის ალტერნატივა ოჯახის სწორად დაგეგმვა და კონტრაცეპციაა! დღეს აბორტების რაოდენობა, 1987 წელთან შედარებით, 10-ჯერ ნაკლებია. ამ სტატისტიკურ კვლევას მაშინ პირადად ვაწარმოებდი და „აბორტმახერები“, პირდაპირი მნიშვნელობით, მოსაკლავად დამდევდნენ, მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, წადი, თორემ მოგკლავთო. 1987 წელს, საქართველოში 100 000-ზე მეტი მშობიარობა და ამდენივე რეგისტრირებული აბორტი დაფიქსირდა, ორჯერ მეტი კი, იატაკქვეშა, არალეგალური, ჯამში, 300 000 აბორტი იყო. მაშინ კვლევა არალეგალური აბორტების შესახებაც ჩავატარეთ და აი, საგანგაშო სწორედ ეს მაჩვენებელი გახლდათ, შესაბამისად, კატასტროფულად მაღალი იყო დედათა სიკვდილიანობაც. 2005 წელს კი, გაერო-ს მონაცემებით, შობადობა ორჯერ შემცირდა (50 000), აბორტების რიცხვმაც უფრო მკვეთრად, 10-ჯერ დაიკლო და იმ დროისთვის, რეგისტრირებული აბორტი მხოლოდ 30 000-მდე იყო. ახლა რომ გაჰყვირიან, აი, რა მდგომარეობაში ვართო, სისულელეა — ან არ იციან, რას ამბობენ, ან სპეკულირებენ.

**— ამას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ამბობს.**

— ვიცნობ, ექიმია. ვიცი, მისი მოსაზრება აბორტსა და კონტრაცეპციასთან დაკავშირებით. სწორად აზროვნებს, თუმცა მისი ამჟამინდელი თანამდებობა მაინც პოლიტიკურია და, ალბათ, რაღაც ზეწოლის ქვეშ ექცევა. ამ კომიტეტის მუშაობას მაინც დადებითად ვაფასებ, დანარჩენებისას — არა. ვიცი, სუბიექტური ვარ.

**— უკანონო აბორტის მიმართ ხუნდაძის მიდგომა არსებულ კანონზე მკაცრია და ექიმის პატიმრობის ვადას 5 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს.**

— საერთოდ, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ აკრძალვას, განსაკუთრებით, აბორტთან მიმართებაში, დადებითი შედეგი არ მოუტანია! ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთი სწორი გზა გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობაა და არა — პოლიტიკური პროსტიტუცია, რის გამოც, ხშირად გაუაზრებლად იყენებენ აბორტის, სუროგაციისა და ინვიტრო განაყოფიერების სახელსა თუ სტატისტიკას. ისე, არალეგალური აბორტის გამო, რომელიც, მით უმეტეს, ქალის სიკვდილით სრულდება, ექიმს 5-იანი კი არა, 20-წლიანი პატიმრობა უნდა მიესაჯოს! ამიტომ, ლაი-ლაის ნაცვლად, ის თქვან, საქართველოში აბორტს ვინ მოუღო ბოლო?! — ეს მე და ჩემმა კოლეგებმა გავაკეთეთ, როცა წლების წინ, ამ პრობლემას რეალური ბრძოლა გამოვუცხადეთ და ქალთა ინფორმირებისთვის მასშტაბური კამპანია წამოვიწყეთ. დღეს ქალების 98% კონტრაცეპციის შესახებ ინფორმირებულია, რაც ძალიან კარგია!

**— კანონის გამკაცრებას შეიძლება, ბნელი მხარეც ჰქონდეს და იატაკქვეშა აბორტის ფასი გაიზარდოს...**

— ჩვენთან ყველაფერი ხდება — შეიძლება, ვიღაც ექიმს, თუ უფრო დიდ თანხას შესთავაზებენ, სულმა, მართლაც, წასძლიოს, მაგრამ ეს კაზუისტიკაა. პაციენტებსა და ექიმებთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს და დამიჯერეთ, აბორტების კეთება აღარ უღირთ. ურჩევნიათ, პაციენტს კონტრაცეპტივები დაუნიშნონ და უფრო მეტი ლეგალური შემოსავალი მიიღონ, ვიდრე, საზიზღარი ოპერაციები შიშით აკეთონ. აბორტებს აკრძალვა ვერ შეამცირებს. ამ გზით, მხოლოდ კრიმინალური აბორტები და დედათა სიკვდილიანობა გაიზრდება, ამიტომ ყველანაირი აკრძალვის წინააღმდეგი ვარ. მარტივ შედარებას მოგიყვანთ — რა მოგვცა პროსტიტუციის აკრძალვამ? — ისევ ყვავის მთელ მსოფლიოში. ასეა ჩვენთანაც და შედეგად, გვყავს მეძავები, ოღონდ ბინძურები, დაავადმყოფებულები. იმ ქვეყნებში კი, სადაც პროსტიტუცია ნებადართულია, მაგალითად, გერმანიაში, ლამაზი, სუფთა და სამედიცინო შემოწმებაგავლილი მეძავები არიან. ასეა აბორტებზეც — სადაც კარგი ცხოვრებაა, აბორტს ვინღა იკეთებს?! მაგალითად, ჰოლანდიაში 17 მილიონი მოსახლეობაა და წელიწადში მხოლოდ 2 000-მდე აბორტია რეგისტრირებული, ისიც ჩასულების ხარჯზე. ამაში ექიმი არაა დამნაშავე: როცა პაციენტი დახმარებას გთხოვს, უნდა დაეხმარო. არის შემთხვევა, როცა დედას ქალიშვილი მოჰყავს და ამბობს, ამის ორსულობის ამბავი რომ გაიგოს, მამა ორივეს დაგვხოცავსო. მოდიან გაუპატიურების მსხვერპლი ქალებიც. ამ დროს, „ტაბურეტკიანი“ მღვდლები ქუჩებში დარბიან და ხაშლამით გამძღარნი, ხანდახან მძრახავენ კიდეც. ეს ჩემთვის მიუღებელია!

**— ქრისტიანულად, აბორტი მიუტევებელი ცოდვაა. რა ამის პასუხია და, უშვილობა ისევ მაღალია?**

— უშვილო წყვილების პროცენტული მაჩვენებელი, ისევე როგორც აშშ-სა და ევროპაში, უცვლელია და 10%-ს უტოლდება. აბსოლუტური უშვილობა 10%-იან ზღვარზეა. რეალურად კი, ჩვენი მოსახლეობის 15%-ია უშვილო. ეს რიცხვი არ მცირდება, რადგან მასზე უშვილობის მკურნალობის მაჩვენებელი გავლენას ვერ ახდენს. თითქმის 30 წელი, როცა ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში ვმუშაობდი, ჩვენი ექიმების მცდელობით, უშვილო ოჯახებში 17 000 ბავშვი დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ სამეურვეო საქმიანობითაც ვიყავი დაკავებული, უშვილო ოჯახებს პირადად 3 000 ბავშვი შევძინე. ამის მერე კიდევ მე რომ დამდევენ „ტაბურეტკიანები“, დემაგოგობენ და ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ისვრიან, ვპასუხობ: აი, მე ეს მაქვს ჩემი ქვეყნისთვის გაკეთებული და თქვენ რა გაგიკეთებიათ?!

**— პატრიარქის განცხადებამ, სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების ოჯახი ბედნიერი ვერ იქნება, ინვიტროთი დაბადებული ბავშვები კი პრობლემატურები გაიზრდებიანო, მოსახლეობაზე როგორ იმოქმედა და, საერთოდ, ამ პოზიციას როგორ აფასებთ?**

— მგონია, პატრიარქი, თავისი ასისტენტების მიერ ხშირად არასწორადაა ინფორმირებული. უწმინდესი შეცდომაშია შეყვანილი! ერთ ფაქტს გეტყვით:

> **დაახლოებით, 25 წლის წინ, საქართველოში ნობელის პრემიის ლაურეატი, სინჯარიდან მიღებული პირველი ბავშვის, ლუიზა ბრაუნის „ავტორი“, რობერტ ედვარდსი ჩამოვიყვანე. ჩვენთან ორჯერ იყო ნამყოფი და ორი წლის წინ გარდაიცვალა. მაშინ ხშირად დავდიოდი პატრიარქთან, ყოველთვის ყველაფერს ვუყვებოდი და სწორედ მასთან მივიყვანე რობერტ ედვარდსიც. პატრიარქს თავად ედვარდსმა აუხსნა, რა არის ინ ვიტრო განაყოფიერება და ჰკითხა, თვლით თუ არა, რომ თქვენს ქვეყანაში ეს დასაშვებიაო. პატრიარქმა ბრძანა, ეს საქმე აკეთეთო. დღეს კი ეს პროვოკატორები რაღაცას წერენ, მისი სახელით კითხულობენ და ისიც და მთელი მოსახლეობაც შეცდომაში შეჰყავთ.**

**— ამის მიზანი რა არის?**

— ის, რომ სინჯარაში განაყოფიერებას სუროგაციის თემა მიატმასნონ. არადა, ეს სულ სხვადასხვა საქმიანობაა. სუროგაციას მაჭანკლობას ვუწოდებ. ის ხალხი, ვინც სუროგაციაზე მუშაობს, რეალურად, უშვილო წყვილს „საშვილოსნოს დაქირავებაში“ ანუ სუროგატი დედის პოვნაში ეხმარება. ინვიტრო განაყოფიერების შედეგად კი დედ-მამა ბავშვის გენეტიკური მშობლები არიან, ორსულობა კი დედის საშვილოსნოში მიმდინარეობს. საქართველოში, ოფიციალურად, პირველი სინჯარის ბავშვი 2000 წელს გაჩნდა და ახლა 14 წლის მშვენიერი ბიჭია. პირველმა ორმა წყვილმა კი, რომელთაც ამ გზით შვილები 1998 და 1999 წელს შეეძინათ, ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

**— ინვიტრო განაყოფიერება უმეტესობისთვის ძალიან ძვირია.**

— წამლებია ძალიან ძვირი, რომელსაც პაციენტი თავად ყიდულობს. წამლებს საქართველოში არ აწარმოებენ. ინვიტროს ერთი პროცედურა, დაახლოებით, 8 000 ლარი ჯდება, 40%-იანი გარანტიით.

**— არც სახელმწიფო და არც კერძო დაზღვევა უშვილობის მკურნალობას ნაწილობრივაც არ ანაზღაურებს. ეს სახელმწიფოს გულგრილი პოლიტიკაა?**

— ისეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარება, როგორც საქართველოშია, სხვაგან იშვიათია და უშვილობის მკურნალობის ერთადერთი, ჟორდანიას კლინიკა წინა ხელისუფლებამ შენობის გარეშე დატოვა! ასეთი პარადოქსი მხოლოდ ამ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს და ეს მაშინ, როცა ყველა დაბადებულ ბავშვში ასეთ საავადმყოფოებს მილიონს უნდა უხდიდნენ. მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ინ ვიტროს, მინიმუმ, პირველი მცდელობა მაინც ფინანსდება. მაგალითად, უნგრეთში კი — სამჯერ, იტალიაში სახელმწიფო ყველა მცდელობას აფინანსებს, ერთ ცდას თვით დეგრადირებულ რუსეთშიც კი აფინანსებენ. საქართველოში სადაზღვევო კომპანიასთან ვერ მიხვალ და უშვილობას ვერც უხსენებ. ამას ახსნა არ აქვს — პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ. როგორც ჩემი მეგობარი იტყოდა, ეს საქართველო კი არა, აბსურდისტანია! თუ ასე გაგრძელდა, 2050 წელს საქართველოში ქართველები უმცირესობაში ვიქნებით!

## ვერსიანიუსი

### ილია მეორე: „ალვირახსნილობა, რომელიც კაცობრიობას დღეს ახასიათებს, ადამიანის გონებას აჩლუნგებს!“




ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

**„ადამიანი ღმერთმა შექმნა ხატად და მსგავსად თვისა, ადამიანი შეიქმნა იმ მიზნით, რომ მუდმივად განვითარდეს მისი გონება, მისი გული, მისი სხეული. ცოდნა უნდა განავითაროს და ეს განვითარება, ეს მიღწევები სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. მაცხოვარი ამბობს: „იყავით სრულყოფილნი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულყოფილ არს“, მაგრამ ადამიანი ვერასდროს მიაღწევს იმ სრულყოფილებას. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ადამიანის განვითარება დაუსრულებელია. ჩვენ ძალიან ხშირად ვფიქრობთ, რა პირობები უნდა იყოს იმისთვის, რომ ადამიანი განვითარდეს. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა იმუშაოს თავის თავზე, თვითონ უნდა იფიქროს, რა მიიყვანს განვითარებამდე. შეიძლება, ალვირახსნილობამ განავითაროს ადამიანი?! ალვირახსნილობა, რომელიც ახასიათებს კაცობრიობას დღეს, თრგუნავს გონებას, ჩლუნგდება ადამიანის გონება, იღლება, დაიღალა ადამიანი ამ უწესობისგან, ცოდვისგან, მაგრამ ამისთვის ღმერთმა მოგვცა ჩვენ სინანული და აღსარება. აღსარებაზე უნდა მივიდეს ადამიანი და თავისი ცოდვები მოინანიოს“,** — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა.

მისივე თქმით, არის კიდევ ერთი საშუალება, ეს არის წიგნიერება, წიგნის კითხვა და მრევლს წიგნების კითხვისკენ მოუწოდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### პოლიციამ ახალქალაქში უკანონო სამარხიდან დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღო




შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე საბრძოლო მასალის უკანონო სამარხი აღმოაჩინეს და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღეს.

სულ ამოღებულია: ტანკის 128 ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის 3969 ამფეთქი დეტონატორი და 15 480 ამფეთქი ზამბარა. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები საბრძოლო მასალის წარმომავლობის და მფლობელის ვინაობის დასადგენად.

გამოძიება საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# კობა ხაბაზი: „ოცნება“ ჭირია!



## რა დავალებები მისცა სააკაშვილმა კიევში ჩასულ ნაციონალებს და გეგმა, რომლითაც „თავისუფალი ზონა“ ხელისუფლებასთან ბრძოლას აპირებს

**ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული არასამთავრობო ორგანიზაცია ძალებს იკრებს და ანტისამთავრობო აქციებისთვის ემზადება! ნიშნავს თუ არა ეს ახალ დაძაბულობას, ვინ გადავიდა სახიფათო ზღვარს — ოპოზიცია თუ ხელისუფლება და როგორ იქცა ორი პარტიის კინკლაობა სამოქალაქო დაპირისპირების დასაწყისად? — „ვერსიის“ რესპონდენტი „თავისუფალი ზონის“ ლიდერი კობა ხაბაზია.**

**— ბატონო კობა, თქვენი რამდენიმე აქციის მერე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს არასამთავრობოების კი არა, ორი პარტიის — „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის დაპირისპირებაა. ასეა?**

— შეფასება სწორია — ესაა დაპირისპირება ახლანდელ და ყოფილ ხელისუფლებას შორის. ჩემთვის კი ორი მენტალობის ბრძოლაა. ერთი მხრივ, დასავლური და პროგრესული, მეორე მხრივ კი, — „კაი ბიჭური“, რუსეთისკენ მაცქერალი, კლასიკური პოსტკომინისტური მენტალობა, რომელსაც „ოცნება“ წარმოადგენს. ამ დაპირისპირებას უფრო გლობალურად ვუყურებ, ვიდრე ტრისტან წითელაშვილია, თორემ, თუ საქმე ასე მიდგა, ამ კაცზე ერთი დღე მაინც თუ ვიღელვო, უსინდისო ვიყო. ზუსტად ვიცი, ასეთები იყვნენ, არიან და იქნებიან. მთავარია, ამ მენტალობათა შეჯახებით საქართველო საით წავა.

**— ეროვნული მოძრაობა და ომის გაცილებით მძიმე გზა გამოიარეთ. დღეს, როცა ბარიკადებს ისევ ხედავთ, ვითარება ხელიდან რომ გაგექცეთ და ვიღაცამ ტყვია ისროლოს, საქართველო საით წავა?**

— აქამდე ასეთ ღრმა და სერიოზულ თემებზე მსჯელობა არ მქონია, ყველას მხოლოდ სკანდალი აინტერესებდა. ეს მართლა სიღრმისეული პრობლემაა და სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ვიცი, ეს ცუდი დასაწყისია. ეს პერიოდი ჩემთვის უკვე გავლილია, მაგრამ მაშინდელ და ახლანდელ ვითარებას შორის ერთ განსხვავებას ვხედავ: საქართველომ ერთხელ უკვე გამოიარა ქუჩის საძმოები, მხედრიონი, ყაჩაღობა, კრიმინალი და კორუფცია, მაგრამ მაშინ ზუსტად ვიცოდი, რომ ამ მდგომარეობიდან გამოძვრებოდა. იგივეს ვერ ვიტყვი დღევანდელ ვითარებაზე — თუ ისევ იმ დროში დავბრუნდებით, აღარ ვიცი, იმ ჯოჯოხეთიდან კიდევ ერთხელ გამოვძვრებით თუ ვერა. როცა ქუჩაში ასლან აბაშიძე, კიტოვანი, მხედრიონი და შევარდნაძე დათარეშობდნენ, იმედს არ ვკარგავდი და დარწმუნებული ვიყავი, წინ უკეთესი მომავალი იყო, მაგრამ, თუ ისევ იქ დავბრუნდით, მეტად შემეშინდება. ტუბერკულოზი ადამიანს ერთხელ თუ შეეყრება, გადარჩება და გამოჯანმრთელდება, მაგრამ თუ მეორედაც დაემართა, შეიძლება, ველარ განიკურნოს.

**— „ქართულ ოცნებას“ ტუბერკულოზს ადარებთ?**

— დიახ, ვადარებ. ეს ქვეყნისთვის მართლა ჭირია: ქუჩებში აღდგენილი ძველბიჭობის ინსტიტუტი, ამნისტიით გამოშვებული კრიმინალები, სახელმწიფო მართვაში ისეთი ხალხის მიშვება, ვინც კორუფციის გამო დავიჭირეთ და დღეს მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ყველაფერი ეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

**— ეს აზრები მოწინააღმდეგეს „კვერცხების ენით“ რომ არ გაუზიაროთ, არ შეიძლება?**

— ძალიან იოლია, აიცილო ტყვიის გავარდნა ოპოზიციის მხრიდან. ეს შეუძლია თავად ოპოზიციასაც და ხელისუფლებას, რომელსაც აქვს ბერკეტები, თუმცა, თუ პროვოკაცია ხელისუფლებას აქვს დაგეგმილი, დღემდე არ ვიცი მექანიზმი, რომელიც ამას ხალხს თავიდან ააცილებს. მაშინ ოპოზიციამ არსებობა უნდა შეწყვიტოს. ეს კი ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება. ჩვენ თუ გავქრებით, შეიძლება, გაცილებით მძიმე ვითარება შეიქმნას, აუცილებლად გაჩნდება სხვადასხვა ექსტრემისტული ჯგუფი, რაც უარეს შედეგებამდე მიგვიყვანს.

**— ტრისტან წითელაშვილთან, „თავისუფალ თაობასა“ და სხვებთან ხელისუფლებას რატომ აიგივებთ, იქნებ ეს კერძო ჯგუფებია?**

— არა, ეს ერთი სიუჟეტური ხაზია: გამოდის შს მინისტრი და ამბობს, რომ „თავისუფალი ზონა“ გადატრიალებას ამზადებს. ფაქტები არავის წარმოუდგენია და ის, რაც კობა ხაბაზს ეპატიება, არ ეპატიება შს მინისტრს. „ბორბლებს“ იმარაგებენო, რომ ამბობს, ნემსი ხომ არაა, გადაიღოს და გვაჩვენოს, სად გვიწყვია ეს „ბორბლები“. ამ განცხადებიდან ერთ კვირაში იქმნება ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ მსგავს სახელწოდებას და ჩვენივე ლოგოს იღებს, ჩვენს წინააღმდეგ მიტინგს ატარებს და ერთადერთი ლოზუნგი აქვს — „თავისუფალ ზონას, ამ სიმსივნეს, მოვაცილებთ!“ გვეუბნებიან, ლიკვიდაცია გამოაცხადეთ, თორემ იარაღით მოვალთ და გაგანადგურებთო. გვაძლევენ 10-დღიან ვადას და 10 დღის მერე ჩვენს ოფისთან მორიგეობენ. როგორ და რამდენჯერ უნდა აიცილო პროვოკაცია თავიდან? დააკავეს დავით გოგოხია და სოციალურ ქსელში განცხადებები დაიდო, „ზონის“ წინააღმდეგ შევიკრიბოთო. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენზე თავდასხმა მზადდებოდა. დავრეკეთ ჩვენს დეპუტატებთან, რომლებიც კახეთის გზატკეცილიდან დროულად მოვიდნენ. პარალელურად, დავრეკეთ პოლიციაში, მაგრამ საბურთალოს პოლიციამ ჩვენამდე მოსვლა „ვერ მოახერხა“.

ამიტომ ვამბობ, როცა პროვოკაციას ხელისუფლება გეგმავს, ამას ვერ შეაჩერებ. დამერწმუნეთ, დიდი გამოცდილება მაქვს.

**— პროვოკაციების მოწყობის?**

— არა, საპროტესტო აქციების დაგეგმვის. ეს კონკრეტულად ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ მოწყობილი პროვოკაციებია. ამაში ისიც მარწმუნებს, რასაც თავად მოწინააღმდეგეები წერენ სოციალურ ქსელში: „ხომ იცით, ჩვენი მომავალი დაფინანსება იმაზეა დამოკიდებული, დავშლით თუ არა „ზონას“, მიუვარდეთ, გადავუაროთ, ამოვძირკვოთ, მოვსპოთო“.

**— ფიქრობთ, ისეთი ძლიერი ორგანიზაცია ხართ, თქვენს განადგურებას პირდაპირ ივანიშვილი ცდილობს?**

— არა, უბრალოდ, ხელისუფლებას დისკომფორტს ვუქმნით. ამ პროცესის გასაჩერებლად კი ორი გზა არსებობს: ან ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს პროვოკაციების მოწყობა და მიხვდეს, რომ ამ გზაზე სიარულს ძალიან ცუდად დაამთავრებს, ან ჩვენ უნდა გავქრეთ.

**— გამოდის, ჩიხში ყოფილხართ. გიგა ბოკერიამაც განაცხადა, სახიფათო ზღვარზე ვართო. როცა საზოგადოება ორადაა გაყოფილი, ყველანი მხოლოდ ერთ, სამოქალაქო დაპირისპირების გზასთან არ მივდივართ?**

— ეს ხელისუფლების არჩევანია და თუ მას სამოქალაქო დაპირისპირება უნდა, ოპოზიცია ვერ გააჩერებს. ამ ეტაპზე ჩანს, რომ ვითარებას ძაბავენ, მაგრამ იმედია, ხვალ მიხვდებიან, უნდა გაჩერდნენ. ეს შევარდნაძის გზაა, როცა ბოლოს ხვდები, ცუდად შენ თვითონ დაამთავრებ და ჩერდები. ხოლო თუ არ ჩერდები და ამ გზას აგრძელებ, მაშინ იანუკოვიჩივით ამთავრებ — ან ქვეყნიდან გარბიხარ, ან იმ ქვეყანაში რჩები და საკუთარი ხალხის წინაშე პასუხს აგებ.

**— იმუქრებით?**

— არა, ეს რეალობაა, რაც თავად არაერთხელ გამომივლია. ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ადვილია: გახდეს ღირსეული ხელისუფლება პუტინსა და რუსეთთან მიმართებაში. ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებაც ანტიოკუპანტური და ანტიპუტინისტურია. ხალხი შეიძლება, ერთხელ და ორჯერ მოატყუო, მაგრამ მუდმივად ვერ მოატყუებ. „ოცნებამ“ კი ცოცხების ისტორიასა და ბარაბარე რაფალიანცის საქმიდან დაწყებული, სიცრუის გზა აირჩია და ასე ბოლომდე ვერ გავა.

**— აბა, სად მივა და, საერთოდ, საით მიგყავთ პროცესი ორივე მხარეს, თანაც, როგორც დავით დარჩიაშვილი ამბობს, ექსპრეზიდენტ სააკაშვილს კიევში უთქვამს, ასე გაგრძელება არ შეიძლება, აქციებს დავიწყებო. ესაა თქვენი გეგმა?**

— მეც ვიყავი ამ შეხვედრაზე და მსგავსი საუბარი არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ წმინდა პარტიულ საკითხებზე ვმსჯელობდით, თუმცა ის, რომ დღეს ცუდი პროცესები მართლაც ჩქარდება, უკვე ფაქტია. კონკრეტულ ფაქტს ვამბობ: ან ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება, ან ცუდად დაამთავრებს. თავის დროზე, ჩვენც ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით და ახლა ამას პირველად ვამბობ — მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი რამ გავაკეთეთ, მაინც შეგვეშალა, რადგან ქვეყანაში მუდმივი არავინაა. გავა დრო და ნებისმიერი ხელისუფლება შეიცვლება. ახლა „ოცნებამ“ იგივე შეცდომა არ უნდა დაუშვას და ეს არ უნდა დაავიწყდეს, თორემ რასაც დასთესს, იმას მოიმკის.

**— ე.ი. თქვენც იმას იმკით, რაც დათესეთ?**

— ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჩვენ დროს ქვეყანა ვითარდებოდა, ახლა კი აღარ ვითარდება. მეტიც, როცა უკრაინაში მოვლენები დაიძაბა, ბიძინა ივანიშვილმა ისიც კი თქვა, ახლა ევრაზიული კავშირი იქმნება და შევხედავ მოვლენების განვითარებასო. ამას ამბობდნენ უკრაინაშიც, მაგრამ იქ ხალხმა ხელისუფლებას დაანახა, რომ ამას არ შეეგუება.

**— უკრაინას ძალიან ხშირად ახსენებთ და ნიადაგს მართლა „თბილისური მაიდნისთვის“ ხომ არ ამზადებთ, როგორც დიდი ხანია, ბრალს გდებენ?**

— თუ საქართველო ასეთი არჩევანის წინაშე დადგა — ან ევრაზიული კავშირი და იანუკოვიჩი, ან მაიდანი და ევროკავშირი, მაშინ, რა თქმა უნდა, მაიდანს ავირჩევ, თანაც ისე, რომ არც დავფიქრდები. თავის დროზე, უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელისუფლებას უკარნახა, სწორი ნაბიჯი გადაედგა და ევროკავშირი აერჩია. ზუსტად ვიცი, საქართველოშიც შეიქმნება კრიტიკული მასა, რომელიც ამ ხელისუფლებას, რომელსაც ევროკავშირი გულზე არ ეხატება, სწორი ნაბიჯის გადადგმას აიძულებს. ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში ჩრიდნენო, ასეა ახლა ამათი ამბავი, რადგან დასავლეთმა უკრაინაში გამოცდილება მიიღო და ახლა აქეთ აჩქარებს საქართველოს, ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე.

**— მაინც, რას გეგმავთ უახლოეს მომავალში?**

— „თავისუფალ ზონას“ აქვს კულტურული, კრეატიული და საპროტესტო ღონისძიებები. მიმდინარე კვირაში, ვაპირებთ, 15 მუსლიმ და 15 ქრისტიან თანამოქალაქესთან ერთად, მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობაში მივიღოთ მონაწილეობა. შემდეგ, ყველანი ერთად წავალთ მარნეულში და მონაწილეობას მეჩეთის მშენებლობაშიც მივიღებთ. ეს იქნება აქცია „ერთად ვაშენოთ უკეთესი საქართველო“. ვგეგმავთ დასუფთავების აქციას დილმის პარკში. კრეატიული ღონისძიებებიდან დაგეგმილი გვაქვს 100 ქარხნის აქცია — 100 ქარხანა რომ არ აშენებულა, ყველამ ვიცით, ამიტომ 100 ყუთს დავდგამთ ქალაქში და ვიტყვით, რომ ეს არაშენებული 100 ქარხანა ჩვენ ვიპოვეთ. მომდევნო კვირაში საპროტესტო აქციების ჩატარებასაც ვაპირებთ — ეს იქნება უკრაინის მხარდამჭერი აქცია, სავარაუდოდ, უკრაინის საელჩოსთან, სადაც წავიღებთ ბანერებს: „ნუ ითანამშრომლებ ოკუპანტთან“. არასდროს არცერთ კულტურულ და კრეატიულ აქციაზე არაფერი მომხდარა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლა, როცა საპროტესტო აქციაზე პუტინს ოკუპანტს ვუწოდებთ, დაგვიჭერენ და დაგვარბევენ.

**— თქვენი ყველა აქცია დაპირისპირებად უნდა იქცეს?**

— იმის შიშით, ვიღაც არ მომივარდეს, გაჩერებას არ ვაპირებ! ყველა ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ პასუხს მარტო ქმედებებზე კი არა, დაპირებებზეც აგებს!

## ვერსიანიუსი

### საგარეჯოში ქალის დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული კაზანთარ ა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნათესავ ქალს — 1974 წელს დაბადებულ ლიმონ ა-ს, მისივე საცხოვრებელ სახლში, ფიზიკურად გაუსწორდა. კაზანთარ ა-ს თანმხლებმა პირმა ქალბატონის საცხოვრებელი სახლის ეზოში სანადირო თოფიდან რამდენჯერმე გაისროლა. კაზანთარ ა. თანმხლებ პირთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლიმონ ა-ს მიღებული დაზიანებების გამო ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. მას საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის ლიმონ ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კაზანთარ ა. მომხდარიდან მეორე დღეს საგარეჯოს რაიონში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

### ერაყი აშშ-ს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვს

ერაყის ხელისუფლება აშშ-ს თხოვნით მიმართავს, სახმელეთო ჯარებით გაუწიოს დახმარება „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლაში. „ბიბისის“ ინფორმაციით, ჯიჰადის მიმდევართა დაჯგუფება ერაყის დასავლეთით მდებარე პროვინცია ანბარის დედაქალაქ რამადიზე ახორციელებს თავდასხმებს და ქალაქში მდებარე სამხედრო ბაზები დაიკავა.

ანბარზე კონტროლის დამყარებით „ისლამური სახელმწიფო“ სირიასა და ერაყის ტერიტორიების ნაწილს დაიკავებს და ბაღდადზე თავდასხმების გააქტიურებას შეძლებს. აშშ-ს მიერ განხორციელებული ავიაშეტევების შედეგად „ისლამურმა სახელმწიფომ“ ვეღარ შეძლო კონტროლის დამყარება კაშხალ ჰადიტაზე.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, „სავანე“ გამომძალველთა სავანედ რჩება

ლევან ღვინიაშვილი

**ორ წელზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა. ამომრჩეველთა მთავარი მოთხოვნა, სამართლიანობის აღდგენა თითქოს დაიწყო, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და ადამიანებს, რომელთაც თავის დროზე ქონება ძალით დაათმობინეს, ისევ სასამართლოში უწევთ სირბილი და იმის მტკიცება, რომ წართმეულის დაბრუნების დროა.**

ისტორია, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, სააქციო საზოგადოება „სავანე-ღვინის №1 ქარხნის“ (ს/კ 203825076) ქონების მითვისებას ეხება. იგი, თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე გახლდათ და მისი შპს „კატრის“ საკუთრებაში გადაცემა განხორციელდა უკანონოდ, უფრო ზუსტად, ყაჩაღობის გზით. ამ ქმედების მონაწილენი კი არა რიგითი ადამიანები, არამედ სამართალდამცველები და ხელისუფლების წარმომადგენლები გახლდნენ. საინტერესოა, რომ შემთხვევა გვაქვს არა ჩვენი ქვეყნის მოქალაქის, არამედ ბრიტანელი ბიზნესმენისთვის ქონების წართმევის კლასიკურ ნიმუშთან. თანაც, იმ ბიზნესმენისთვის, რომელიც საქართველოში, არც მეტი, არც ნაკლები, ორი მილიარდის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავდა, თუმცა ახლა ორი მილიარდი კი არა, რაც განახორციელა, ისიც სადავო აქვს. საქმე იმდენად მძიმეა, რომ წესით სასამართლოს დახურულ სხდომაზე უნდა განიხილებოდეს, რადგან საქმე არამხოლოდ წამებას და ფიზიკურ შეურაცხყოფასთან გვაქვს, არამედ გაუპატიურებასთან... მამაკაცის გაუპატიურებასთან.

საქმის მასალებით, **„2004 წელს სააქციო საზოგადოება სავანე ღვინის პირველ ქარხანაში შექმნილი იყო კატასტროფული მდგომარეობა. ყოფილი დირექციის მიერ ბატონ ლ. დემეტრაძის და თ. კორტავას მიერ არამიზნობრივად იყო გაფლანგული ან მითვისებული დაახლოებით 1.5 მილიონი აშშ დოლარი, დამატებით ამ თანხის დაახლოებით 350 000 აშშ დოლარი. მითვისების დეტალები აღწერილია შესაბამის სისხლის სამართლის საქმეში, ყოფილი დირექცია მიცემული იყო პასუხისგებაში, მაგრამ ისინი თავისი დანაშაულის დაფარვის მიზნით ახორციელებდნენ ჩვენზე ზეწოლას ე.წ ვერის საძმოს კრიმინალური დაჯგუფების მეშვეობით, კრიმინალური დაჯგუფებით, რომელიც ასევე გამოიყენეს მიხეილ უგულავამ და ლადო კვარაცხელიამ. ზეწოლა ჩვენს მიერ სამართლიან მოთხოვნებზე უარის თქმაზე ისეთი იყო, რომ (ჩართული იყვნენ პარლამენტის დეპუტატებიც სანდრო ბრეგაძე, ხათუნა ხოფერია) საქმე კატასტროფამდე მივიდა — გატაცებული და გაუპატიურებული იყო ინვესტორთა წარმომადგენელი (დაზარალებულის ვინაობას რედაქცია არ ასაჯაროებს)!**

**ბანკის ხელმძღვანელი პრობლემური სესხების განყოფილების უფროსი ზაზა გრიგოლია პირადად მონაწილეობდა ქონების გამოძალვაში, მონაწილეობა გატაცება წამებაში, ღამე ადგებოდა დაშინების და ყაჩაღობის მიზნით (ზურაბ მარგველაშვილი), თბილისიდან ტელეფონით ლონდონში რეკავდა სასტიკი მუქარით. ამ საქმეზე მკვეთრად არის გამოხატული საქართველოს ბანკის დირექციის დანაშაულებრივი ქმედებები არა მარტო უპრეცედენტო სესხის მითვისებაში, არამედ ქონების მითვისების და გამოძალვის ნაწილშიც.**

**დანაშაულებრივი ჯგუფის (მ. უგულავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ზ. გრიგოლია) ქმედების შედეგად, „კაპიტალ მენეჯმენტ ინვესტმენტმა“ დაკარგა ქონება, „სავანე ღვინის 1 ქარხანამ“ და აქციონერებმა ვერ მიიღეს 3-მილიონიანი კომპენსაცია, „იმპერიალ ჯორჯიან ვაინმა“ ვერ დაიბრუნა ჩადებული ინვესტიცია, არ დასაქმდა 1200 ადამიანი, ბიუჯეტმა ვერ მიიღო მილიონობით შემოსავალი აქციზის და სხვა გადასახადების სახით, არ განხორციელდა 35-მილიონიანი ინვესტიცია საქართველოს მეღვინეობაში, მეღვინეობის ფლაგმანი გაიძარცვა და გაპარტახდა ღვინის საცავები, გაქურდულია ღვინის მარაგი, მიღებული და მითვისებული/გაფლანგული იქნა დაახლოებით 13-მილიონიანი სესხი...“**

ეს არის მცირე ამონარიდი იმ წერილიდან, რომელიც ქარხნის ყოფილმა ხელმძღვანელებმა არჩილ კბილაშვილს ჯერ კიდევ მისი პროკურორობის დროს აახლეს. თუმცა ირკვევა, რომ ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრისას, კბილაშვილმა ღიად დააფიქსირა — ასეთი საქმეების გახსნისა და დამნაშავეების დასჯისთვის, პოლიტიკური ნებაა საჭირო. რა გამოდის?! კბილაშვილმა იცოდა, რომ საქმე კრიმინალთან ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკური ნების არარსებობის გამო ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული?! და მაინც, რა მოხდა რეალურად?

„სავანეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ზურა მარგველაშვილის ჩვენებით დგინდება, რომ ხელი მარტო იმიტომ მოაწერა ქონების გადაცემას, ღამე სახლში გამომძალველები დაადგნენ, რომლებიც მოქმედებდნენ საგამოძიებო ნაწილის უფროსთან(!) გიორგი ლაცაბიძესთან სატელეფონო კოორდინაციით, დაპატიმრებით და ამის შემდეგ მარტო დარჩენილი ცოლის გაუპატიურებით(?!) ემუქრებოდნენ. ბატონი ზურაბი ღამით სახლიდან გაიტაცეს მიხეილ უგულავამ და შეიარაღებული ბანდის წევრებმა, მიიყვანეს ღამის 12 საათზე საჯარო რეესტრში, სადაც წაართვეს კომპანიის ბეჭედი...

მოწმე გიორგი მგალობლიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ მიხეილ უგულავა და ვლადიმერ კვარაცხელია „ატერორებდნენ“. ეს ის კვარაცხელიაა, გიგი უგულავამ ლამის ბიზნესის მამად რომ გამოაცხადა და ყველგან თან დაჰყავდა. მიხეილ უგულავას მითითებით, მძევლად იქნა აყვანილი გიორგი მგალობლიშვილის 5 წლის შვილი მიხეილ მგალობლიშვილი, ხოლო მეუღლე გაიტაცეს საგურამოს ტყეში, საიდანაც არეკინებდნენ მეუღლესთან და გაუპატიურების მუქარის ქვეშ აიძულებდნენ, ატირებულს გიორგისთვის ეთქვა, რომ ხელი შეეწყო და დაეთმო ყველაფერი. ეს მოხდა 2007 მარტში. მგალობლიშვილის ინფორმაციიდან ასევე ირკვევა, რომ მან გამოძიების დასაწყისში ტელეფონით დაურეკა საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და სწორედ მან უთხრა — „ჩააბარე ქონება, ასეა გადაწყვეტილი და მე ვერაფერს შევცვლიო“. სატელეფონო საუბარში გამომძიებელმა შანშიაშვილმა დაადასტურა, რომ დაკვეთა მმართველი გუნდიდან მოდიოდა და ის მხოლოდ ზემდგომთა ბრძანებებს ასრულებდა.



საინტერესოა ისიც, რომ „სავანეს“ გარშემო სახელმწიფო უწყებები არარეალურად გამართულად მოქმედებდნენ. ია ყიფიანი, 6 ნოემბერს, აყენებს შუამდგომლობას საქალაქო სასამართლოს წინაშე, რომ მოიხსნას ყადაღა სააქციო საზოგადოების ქონებაზე იმ მოტივით, რომ არ არსებობს მისი გასხვისების საშიშროება. სასამართლო მოთხოვნას უკმაყოფილებს. პროკურორი კახა წერეთელი 27 ნოემბერს აგზავნის მოთხოვნას საჯარო რეესტრის მონაცემებზე, რომელსაც ერთ დღეში იღებს და იმავე დღეს გადასცემს ნოტარიუს მაია ბრეგაძეს. იმავე დღეს ხელშეკრულება უქმდება „კაპიტალ მენეჯმენტთან“ და მგალობლიშვილის ქონება ნაკვეთიანად ვლადიმერ ცომაიაზე ფორმდება, რის შემდეგადაც იმავე დღეს, დაპატიმრებულები (ლ. ჩიკვაიძე, ს. ერაძე, ზ. ქურდაძე) ითხოვენ გამოშვებას, რასაც მეორე დღესვე უკმაყოფილებენ. რეგისტრაციის განხორციელებისას საჯარო რეესტრში შპს „ტრასეკა გრუპ ჰოლდინგის“ წარმომადგენლად მითითებულია მიხეილ უგულავა, თუმცა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან აღებული აქვს იმავე ვლადიმერ ცომაიას (ანუ გამყიდველს), რომელიც მოქმედებდა მინდობილობის საფუძველზე. (საგულისხმოა ამონაწერის აღების დრო 18.10, ეს მაშინ როცა 18:00 საათისათვის რეესტრი ასრულებს მუშაობას და ამონაწერები აღარ გაიცემა). ფანტასტიური ოპერაციაა: 6 დეკემბერს აღდგა სხვა აქციონერების, დავით მენთეშაშვილის, მიხეილ ნიკოლაიშვილის და ნუგზარ ბერიშვილის საკუთრება, 6 დეკემბერს სამივემ მიწა გაასხვისა ვლადიმერ ცომაიაზე, რაც 7-ში დარეგისტრირდა და 7 დეკემბერსვე ცომაია სამივე მიწას ასხვისებს ტრასეკაზე. ამასთან, ცომაია გამყიდველიც არის და მყიდველი ფირმის დირექტორის, მიხეილ უგულავას მინდობილი პირიც...

დაზარალებულმა ინვესტორმა პრამოდ მიტალმა იმ დროს ლონდონში მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და საქართველოს მოქმედი ელჩი თავის ოფისში ლანჩზე მიიწვია. მას პრემიერთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ვინაიდან რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოში 2-მილიარდიან ინვესტიციაზე, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროს, ჭიათურის მანგანუმის, სუფსის ნავთობის ბლოკში, ხუდონისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურებში. შეხვედრისას პრემიერმა დაადასტურა მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტებში, ხოლო ღვინის ქარხანაში მიმდინარე პროცესები ძალიან გაიკვირვა, გაბრაზდა და დაჰპირდა, ყველაფერს გავარკვევ და დაგიკავშირდებიო. მართლაც, ორი კვირის შემდეგ, პრემიერმა აცნობა, რომ ის ვერაფრით დაეხმარებოდა და ვერც კი ჩაერეოდა ამ საქმეში(?!), ვინაიდან იქ ზედმეტად გავლენიანი ძალები იყვნენ ჩართულნი (პრემიერ-მინისტრზე გავლენიანი?!). სამაგიეროდ, დაპირდა, რომ მოუწყობდა შეხვედრას პრეზიდენტთან ან გენერალურ პროკურორთან. მართლაც, პრამოდ მიტალმა თბილისში, დათქმულ დროს მოავლინა, თავისი დირექტორი ჯავაიდ პაშა, რომელიც ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელს გიორგი არველაძეს. არველაძემ განუცხადა, რომ პრეზიდენტი იმყოფებოდა ბათუმში, უამინდობის გამო, მისი ვერტმფრენი ვერ ახერხებს თბილისში დაბრუნებას და შეხვედრაზე პროკურატურაში გადაამისამართა. საღამოს, 10 საათზე, ჯავაიდ პაშა პროკურორ კახა წერეთელს შეხვდა. შეხვედრა იყო მოკლე და საქმიანი — წერეთელი მისგან ითხოვდა ან მილიონობით თანხის გადახდას, რათა ქარხანა არ წაერთმიათ, ანდა დაუყონებლივ მინდობილობის გაცემას მათ სასურველ პირზე ქარხნის გადასაფორმებლად. ჯავაიდ პაშას თქმით, მან ხაზი გაუსვა, რომ ძალიან გავლენიან ადგილობრივ ჯგუფს უნდოდა ამ ქარხნის ხელში ჩაგდება და საკითხი გადაწყვეტილი იყო. პაშამ მილიონების გადახდაზე უარი უთხრა, სანაცვლოდ, ქარხანაში 25% და საქართველოში 2 მილიარდიანი ინვესტიცია შესთავაზა. პროკურორმა უპასუხა, რომ შეთავაზებას გადასცემდა და პასუხს გააგებინებდა. წერეთელი მას აღარ დაკავშირებია...

როგორც ჩანს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „სავანის“ მიმთვისებლებმა გადაწყვიტეს, რომ წართმეულ ქონებას მათ არავინ შეარჩენდა და ამიტომ, სასწრაფო წესით მისი თავიდან მოშორება განიზრახეს. ისინი ქარხანას და მის ბალანსზე რიცხულ ქონებასა და მიწას ბანკს უბრალოდ ჩუქნიდნენ. ქარხნის კანონიერმა მფლობელებმა იმჟამინდელ გენერალურ პროკურორთან, არჩილ კბილაშვილთან შემდეგი სახის განცხადება აფრინეს:

**„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „კატრის“ „საქართველოს ბანკის” წარმოშობილი დავალიანების გამო აპირებთ სს „სავანე ღვინის №1 ქარხანას“ (ქ. თბილისი პეტრიაშვილის ქ.№1) უძრავი ქონების, რომელშიც ასევე შედის 9987ჰა მიწის ნაკვეთი ბანკის საკუთრებაში წაღებას.**

**გვინდა, გაცნობოთ, შპს „კატრი“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოების ქონების არაკეთილსინდისიერ მფლობელს, ვინაიდან აღნიშნული ქონება მის საკუთრებაში გადავიდა უკანონოდ, რის შესახებაც თავიდანვე ინფორმირებული იყო შპს „კატრის“ დამფუძნებელი ვლადიმერ კვარაცხელია, ხოლო სესხი ბანკში მოპოვებულია იმჟამად მომქმედი დირექციასთან კორუფციული გარიგების შედეგად.**

**აქვე გაცნობებთ, რომ 2006 წელს მაშინდელი საქართველოს პროკურორის ზ. ადეიშვილის უშალო მითითებით და ამავე პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ყოფილი უფროსის გ. ლაცაბიძის ძალისხმევით ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ სრულიად უკანონოდ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოების აქციონერის, გ. მგალობლიშვილის მიმართ, მის წინააღმდეგ გამოიყენეს სხვადასხვა პიროვნებები, რომლებიც დააპატიმრეს და სასურველი ჩვენებების მიღების შემდეგ საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლეს.**

**ყოველივე ეს ემსახურებოდა ერთ მიზანს — წაეღოთ №1 ღვინის ქარხნის ქონება, რომელიც ასევე უკანონოდ გადასცეს ამ საქმის შემკვეთს, მიხეილ უგულავას, რომელმაც ვლადიმერ კვარაცხელიასთან შეთანხმებით, შემდეგ ქონება გადასცა ამ უკანასკნელს.**

**დღეს ღვინის ქარხნის ქონება საკუთრებაში აქვს შპს „კატრის“, რომლის დამფუძნებელიც არის ვლადიმერ კვარაცხელია.**

**შპს „კატრი” აგრძელებს დანაშაულებრივი სქემით მუშაობას. იცის, რა ვლ. კვარაცხელიამ, რომ დღეს თუ ხვალ, დადგება უკანონო მფლობელობიდან ქარხნის ქონების გამოთხოვის საკითხი, ჩქარობს, მოძებნოს პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც გადაიფორმებს სადავო ქონებას.**

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე და, ნებსით თუ უნებლიედ, არ გახდეთ დამნაშავე პირთა თანამონაწილე“...**

სავარაუდოდ, კორტავა და ნიკოლაიშვილი დანაშაულებრივ კავშირში შევიდნენ უგულავა-კვარაცხელიასთან და, ადრე ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ხელი შეუწყვეს ქონების მითვისებაში. საინტერესოა, რომ მიმდინარე პროცესების საქმის კურსში იყო იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მის ადმინისტრაციაში ხუთჯერ გაიგზავნა წერილი და ერთხელ, ბრიტანეთში მისი ვიზიტისას, უშუალოდ ხელში გადასცეს წერილი, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ყველაფერი, მაგრამ მისი მხრიდან ამ თემაზე რეაგირება არ ყოფილა.

არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა ქარხანაში დაცული საკოლექციო ღვინოების საკითხში. თუ 1998 წლის ბოლოს ქარხნის ბალანსზე 123326 ცალი საკოლექციო ღვინო ირიცხებოდა. დღეისათვის მისი რაოდენობა 35350 ცალამდე იქნა შემცირებული. საკოლექციო ღვინოების ასეთი კლების გასამართლებელი რაიმე დოკუმენტი ყოფილ დირექტორებს არ გააჩნიათ. სამაგიეროდ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დანაკლისი ღვინოების ღირებულება 6409382 ლარს შეადგენს. ღვინოების კანონიერი გზით გაყიდვის შემთხვევაში ეს თანხა ქარხნის ბალანსზე უნდა ასახულიყო, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს აქედან, დღგ-სა და აქციზების სახით, 1081174 ლარი უნდა მიეღო. როგორც აღვნიშნეთ, დემეტრაძე-კორტავას ეს არ გაუკეთებიათ და, გამოძიების მასალების მიხედვით, 6,4 მილიონ ლარზე მეტი თავად მიითვისეს...

დაზარალებული მხარე დანებებას არ აპირებს და ჯიუტად ცდილობს, სამართალი იპოვოს. მათ წერილით მიმართეს როგორც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, ისე მოქმედ და ყოფილ პრემიერ-მინისტრებს, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს. უფრო სწორედ, არაფერიც არ უჩანს, რადგან რეალურად ამ თემაზე არავინ საუბრობს და პასუხს ყველა ერიდება. თუ ბატონი არჩილ კბილაშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, როგორც ჩანს, პოლიტიკური ნება არ არსებობს და სანამ ასე იქნება, სამართლიანობის აღდგენის ტემპებზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

# ეს უკვე შეუძლებელია! ეს უკვე მკვლელობაა!

## კონსერვატორიის სტუდენტების განცხადება

**აგვისტოში, გაზეთ „ქრონიკა+“-ში პირველი სტატია — „პრეზერვატივები კონსერვატორიაში“ დაიბეჭდა. სათაური ცოტა შოკისმომგვრელიც კი გახლდათ, რადგან კონსერვატორიისთვის, რომელიც ევროპული სკოლის ავანგარდში დგას, ასეთი შეურაცხყოფის მიყენება, ვერ გავიგეთ, რა უბედურება იყო, მაგრამ თურმე, ჯერ სად ხარ, ყველაფერი ჯერ წინ ყოფილა.**

პირველს სერიული წერილები მოჰყვა, ძირითადად, ცილისმწამებლური ბრალდებები, პროფესორ მანანა დოიჯაშვილის უშვერი სიტყვებით ლანძღვა. ერთ-ერთი წერილის სათაური კი, ასეთი იყო: **„ვოინა — ეტო ხ..ნა“** (ციტირებისთვის ბოდიშს გიხდით).

ამ სტატიებისა თუ ე.წ. სერიული მკვლელობების ავტორი გახლავთ ვინმე ირინა გოგოსაშვილი, რომელიც კულტურაზე წერს და თან ასე მეტყველებს!

გავიკითხეთ და აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონს, რამდენიმე ხნის წინ, ასეთივე პასკვილები დაუწერია ბატონ ანზორ ერქომაიშვილზე, სადაც ბატონ ანზორს ბრალს სდებს, რომ ქართული ფოლკლორის სიმღერები თითქოს სომხებს მიჰყიდა.

უზნეობას, უსინდისობასა და ცილისწამებას, ალბათ, საზღვარი არ აქვს!

ასეთივე პასკვილები ბატონ გია ყანჩელზეც გვახსენდება.

ერთ-ერთ წერილში უდიერად და უხამსად არის მოხსენიებული ბრწყინვალე პიანისტი და პედაგოგი, ქალბატონი ნანა დიმიტრიადი, დიდი ოდისე დიმიტრიადის ქალიშვილი, რომელიც კონსერვატორიისთვის სინდის-ნამუსის მეტრიც კია!

გასვრილია ყველა და ყველაფერი.

ახლა კი, უბრალოდ, ზღვარს გადააბიჯა. მეტიც, ვფიქრობთ, რომ ყველაფერმა ამან კონსერვატორიისა და, კერძოდ, ჩვენი პროფესორის, ქალბატონი მანანა დოიჯაშვილის წინააღმდეგ უკვე კამპანიის სახე მიიღო. ამიტომ, მივმართავთ მათ თხოვნით, ვისაც ეს ხელეწიფება: იქნებ, უფრო ყურადღებით უნდა იყოს საზოგადოება, რადგან ტალახს იმ ადამიანებს ესვრიან და ქოლავენ, რომლებიც ქართულ კულტურას ქმნიან! **ის ჟურნალისტი კი, რომელიც „ქუჩურად“ მეტყველებს, არაფერს ქმნის და ცილისწამებით არის დაკავებული, ქართულ კულტურას მიზანმიმართულად ანადგურებს! ასეთ ჟურნალისტთან ურთიერთობა რედაქციებისთვისაც, მინიმუმ, უხერხული უნდა იყოს!**

პროფესორმა და პიანისტმა მანანა დოიჯაშვილმა, ყველა დაგვეთანხმება, მათ შორის ისიც კი, ვისაც ქალბატონი მანანა არ მოსწონს, რომ კონსერვატორიის ისტორიულ შენობას რეკონსტრუქცია უმძიმეს წლებში ჩაუტარა, ასევე აღადგინა კონსერვატორიის დიდი დარბაზი, დააარსა რესპუბლიკური და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსები, საფუძველი ჩაუყარა ტრადიციულ მრავალხმიან საერთაშორისო სიმპოზიუმსა და ნორჩ მუსიკოსთა ფედერიკ შოპენის სახელობის რესპუბლიკურ კონკურსს, დააარსა საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“; დააარსა კონსერვატორიასთან არსებული 11-წლიანი სამუსიკო სემინარია. საბედნიეროდ, ქალბატონ მანანას კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება და მომავალი თაობის აღზრდა შეუძლია!

ცოცხალი სულ რამდენიმე ჭეშმარიტი ხელოვანიდა გვყავს და მათაც ნუ მოვკლავთ!

რაც შეეხება ომს, ქალბატონო ირინა, რომელსაც რუსულად, სამი ასოთი, თქვენი ჩვეული „კულტურით“ მოიხსენიებთ, ჩვენი „საომარი“ იარაღი მხოლოდ და მხოლოდ მუსიკაა, თქვენი იარაღი — ცილისწამება. დრო და საზოგადოება გვაჩვენებს, რომელი გაიმარჯვებს!

თუ ასე გაგრძელდა და არ შეწყდა კონსერვატორიის წინააღმდეგ დაწყებული სიბინძურე, გაფრთხილებთ, პროტესტის სხვა ფორმას მივმართავთ!

***კონსერვატორიის სტუდენტები***



*(სულ 200-ზე მეტი ხელმოწერა)*



### სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს იეჰოვას მოწმეებისთვის კომპენსაციის გადახდა დაავალა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას იეჰოვას მოწმეებისთვის კომპენსაციის გადახდა დაავალა.

როგორც სტრასბურგის სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, საქმე, სახელწოდებით „ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ 2000-2001 წლებში საქართველოში, ხელისუფლების მიერ იეჰოვას მოწმეებისადმი გამოვლენილ აგრესიას და მათ შევიწროებას ეხება.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევას.

სარჩელში იეჰოვას მოწმეების დევნის, მათ წინააღმდეგ გამოჩენილი ფიზიკური ძალადობისა და ვერბალური შეურაცხყოფის 30-მდე ეპიზოდი, მათ შორის ბასილ მკალავიშვილისა და მისი მრევლის საქმეა შესული. ამ საქმეში იეჰოვას 99 მოწმე მოხვდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ საქმის თითოეულ მონაწილეს 350 ევრო უნდა გადაუხადოს. ასევე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მოსარჩელეებს გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების სანაცვლოდ ჯამში 15 ათასი ევრო.

***„ინტერპრესნიუსი“***

### შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში აშშ-ს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ რიჩარდ ნორლანდს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები და აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტების მსვლელობა განიხილეს. საუბარი, ასევე, შეეხო ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმებს.

***„ვერსიანიუსი“***

# რუსთავის №17 ზონიდან 7 სვანი პატიმარი გაიქცა

„ერთი დღე რომ მქონდეს დარჩენილი და გაქცევის შანსი გამოჩნდეს, თავს, ალბათ, მაინც ვერ შევიკავებ. დიდი, ძალიან დიდი ხიბლი აქვს „სვაბოდას...“



პატიმარი №0578

**წინა თვეში იყო, ციხიდან პატიმარი რომ გაიქცა და ესიყო ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე თავხედური გაქცევა გახლდათ. პრინციპში, ეს პატიმარიც საავადმყოფოდან გაექცათ, თორემ ზონებიდან და ციხეებიდან ამის გაკეთება დღეს თითქმის შეუძლებელია. ის, რაც წინა ხელისუფლებამ მართლა გააკეთა, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ე.წ. ზაპრეტკების სრული გამოცვლაა — ზონებს საიმედო გალავანი არტყია და ამასთან, გალავანი ორშრიანია: გაქცევის მსურველს, მინიმუმ, ექვსმეტრიანი ორი ღობის გადალახვა მოუწევს და ეს მაშინ, როცა სათვალთვალო კოშკებზე მდგომი ჯარისკაცები პერიმეტრს სრულად აკონტროლებენ. არადა, იყო დრო, როცა პატიმრები ციხიდან ძალიან მარტივად გარბოდნენ. რუსთავის №17 ზონაში დღემდე ღიმილით იხსენებენ კანონიერი ქურდის, გივი ბობოხიძის გაქცევას, თუმცა რუსთავის №17 დაწესებულებას უფრო თავხედური „პაბეგიც“ ახსოვს.**

რუსთავის №17 ზონის ბინადარი, მეტსახელად პაპა წვერს არ იპარსავდა. ასე ამბობდა, სადღაც წავიკითხე, რომ კაცები ცხოვრების ორ წელს წვერის პარსვაში ატარებენ და სურვილი არ მაქვს, ეს დრო დავკარგოო. არადა, პატიმარს რომ დრო აქვს, იმდენი, შესაძლოა, მკვდარს არ ჰქონდეს, მაგრამ პაპას ეს ამბავი არ ანაღვლებდა. ჭიპამდე ჩამოზრდილ წვერს დიდად არც უვლიდა და განსაკუთრებით ზაფხულში სპეციფიკური სუნი ასდიოდა. არადა, პატიმრები ამბობდნენ, ეს ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავის დროზე ამ ციხიდან გაიქცა და თითქმის შეირგო კიდეცო. პატიმარ №0578-ს პაპასთან საუბარი აინტერესებდა, მაგრამ ორი სერიოზული წინაღობა ჰქონდა: ერთი ის, რომ პაპა სიტყვაძუნწი იყო და მეორეც ის, რომ მის გვერდით დიდხანს გაჩერება შეუძლებელი გახლდათ, რადგან მარტო წვერი კი არა, მთლიანად ყარდა. მანაც ხერხი იხმარა, პაპას თანამოსაკნეებს უთხრა, როგორ ძლებთ, თვეში ერთხელ მაინც აბანავეთო და იმდენი ქნა, ვიდრე ერთ დღეს თანასაკნელებმა პაპა აბანოში ძალით არ შეაგდეს.

აბანოდან კამერაში დაბრუნებულს პატიმარი №0578 ელოდა. პაპამ უნდობლად შეხედა, მერე ბუზღუნით ჩამოჯდა ნარზე და როცა გვერდით №0578 მიუჯდა, ბუზღუნს უმატა. პატიმარმა ყურადღება არ მიაქცია, სიგარეტი მიაწოდა, შემდეგ, ნარზე ცელოფანი დაუდო და უთხრა: „კარაქია, ასაკში ხარ, გჭირდება და ჭამე...“

ამის შემდეგ №0578 წამოდგა და საკნიდან გავიდა. ზუსტად ერთ საათში მისი კამერის კარი პაპამ შეაღო. წვერზე ეტყობოდა, კარაქი ნაჭამი რომ ჰქონდა. პატიმრისკენ ბუზღუნით დაიძრა და უთხრა: ვიცი, არ მომასვენებ და რა გინდა, მითხარი...

„მხოლოდ ის მინდა, გაქცევა მომიყვე. როგორც ვიცი, სამასამდე პატიმარი გაიქცა და რა მოხდა, მეტროს გვირაბი გაიყვანეთ თუ კარი გაალეს და ვინც გაასწრებს, გადითო?!“

„არც ერთი და არც მეორე. ჩვენ სხვის პახმელიაზე გავიქეცით, თორემ რა გაქცევა, რის გაქცევა... სვანები მოიყვანეს ზონაზე. სულ შვიდი კაცი. შვიდივე ერთ საქმეზე — ყაჩაღობამკვლელობით. დახვრეტის მუხლი აღარ იყო, მაგრამ ოც-ოცი წელი ჩამოურიგეს კანფეტივით. მოკლული პოლიციელის მაღალჩინოსნის ნათესავი იყო და ამბობდნენ, ამათ ციხიდან არავინ გაუშვებს, დახოცავენო. არავის ეკონტაქტებოდნენ და ყველა ერიდებოდა. მაშინ ასეთი ზაპრეტკები არ იყო, ერთი ღობე იყო, გადახტომა შეგეძლო. იცი, ამ ზონიდან გივია ბობოხიძე როგორ გაიქცა? „ვიშკიორს“ უთხრა, ქურდულ სიტყვას გაძლევ, მაღაზიაში გადავირბენ და მოვალო. გივის 15 წელი ჰქონდა მისჯილი და აქედან მხოლოდ ორი ჰქონდა მოხდილი. დაუჯერა „ვიშკიორმა“ და გაუშვა. გივიც წავიდა და წავიდა. მერე ციხის „ნაჩალნიკი“ გახდა დასაბმელი, „ვიშკიორს“ სულ დედა უტრიალა და თან იმას ღრიალებდა, რომელი კაი ბიჭი შენ მყავხარ, ქურდულ სიტყვაზე კაცი რომ გაუშვიო. ჰო, ისევ სვანებს დავუბრუნდეთ...

ვიღაცას წამოსცდა, ეგენი გაქცევას აპირებენ, სხვა გზა არ აქვთო და მაგათი საკანი კონტროლზე აიყვანეს. მარტო საკანი კი არა, ერთი ოფიცერი დღისითაც არ შორდებოდა გვერდიდან. საკანს ყოველ მეორე დღეს უცვლიდნენ, აქაოდა, არაფერი გათხარონო. ჩვენც ყურადღებით ვაკვირდებოდით. მე ცხრა თვე მქონდა დარჩენილი და მშვიდად მეძინა, ვიცოდი, „სროკი“ მალე გაივლიდა და სახლში წავიდოდი. ერთ დღესაც, ვსეირნობთ ზონის ეზოში და „ზაპრეტკის“ გარედან მანქანის ხმა გავიგეთ. აშკარა იყო, დიდი მანქანა აწყვეტილი მიდიოდა სადღაც. ხმას მალე გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა და ზონის ეზოში კამაზი შემოვარდა. „ზაპრეტკის“ კედელი ისე დაიფშვნა, გაოცებაც ვერ მოვასწარი. ახლა, წარმოიდგინე, რა ხდება — კედელი გადანგრეულია, იქით, ოც მეტრში „სვაბოდა“ ჩანს და რა გინდა, ქნა?! „ვიშკიორებმა“ იღრიალეს, ვინც გაქცევას შეეცდება, ვესვრითო და პირველი ტყვიაც გავარდა — გარედან ისროლეს და ერთი „ვიშკიორი“ ჩემს ფეხებთან დაეცა. ვიდრე ეს დაბნეულობა გრძელდებოდა, გადანგრეული კედელი სწორედ იმ სვანებმა გაიარეს, გარეთ მომლოდინე მსუბუქ მანქანებში გადანაწილდნენ და გაქრნენ.

ამის მერე იყო, ზონამ რომ იხუვლა და გადანგრეულ კედელს მიაწყდა. მეორე „ვიშკიორმა“ ისროლა, მაგრამ მოკლული „ვიშკიორის“ იარაღი რომელიღაც პატიმარმა მოიხელთა და მეორე „ვიშკიორიც“ ჩამოაგდეს. გაგეცინება და, ისიც ჩემს ფეხებთან დაეცა, რადგან უკვე გასასვლელთან ვიყავი. დაჭრილი იყო და არ მომკლაო, მითხრა. სად მეცალა იმისთვის, გადავაბიჯე და ფეხში მწვდა, არ გაიქცე, თავს იღუპავო. წიხლი ჩავაზილე და გავარდი. ვინ საით გარბოდა, კაცმა არ იცოდა. ხომ იცი, ზონის წინ საკუთარი სახლებია, ერთ-ერთ ეზოში შევვარდი, ვიღაც ქალი ონკანზე სარეცხს რეცხავდა. პატიმარი ვარ, საით გავიქცე-მეთქი და დაახლოებით ათ წამში ისე დამაკვალიანა, მგონი, პირველი არ ვიყავი, ვინც ეს ჰკითხა. გზად რამდენიმე პატიმარი შემხვდა, მაგრამ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია, ყველა ჩვენთვის გავრბოდით. მტკვრამდე ვირბინე და მივხვდი, მეორე ნაპირზე გადასვლას აზრი არ ჰქონდა. იქით მხარეს უკვე ჩანდნენ პოლიციელები და როგორც მერე გავიგე, მთელი ქვემო ქართლის სამართალდამცავები გვეძებდნენ. კარგად ვცურავ, მტკვარში ჩავხტი, წყალზე დავწექი და ბედს მივენდე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცურე, უკვე საკუთარ თავს ვაგინებდი, რა მრჯიდა, რატომ გამოვრბოდი-მეთქი, მაგრამ დიდია ცდუნება — „სროკი“ გაქვს, ამ დროს კი თავისუფლება მოჩანს... ვერ გავძელი, რა. მე კი არა, ხალხს ერთი და ორი კვირა ჰქონდათ დარჩენილი და ფსიქოლოგიური შოკის შედეგად, ისინიც გაიქცნენ...

ახლაც არ ვიცი, როგორ, მაგრამ აზერბაიჯანში ამოვყავი თავი. არ ვიცი-მეთქი, რომ ვამბობ, მტკვრიდან ქართულ სოფლებში გავედი, მერე მოვხვდი აზერბაიჯანში. იქიდან რუსეთში გადავედი და იქ გავიგე, რომ ვერ დაიჭირეს ცხრა პატიმარი — ის სვანები, მე და კიდევ ერთი, რომელიც მერე ოსეთში გადავიდა და ახლაც ცხინვალში ცხოვრობს. რუსეთში ჯერ ვიმალებოდი, მერე ყალბი საბუთები გავაკეთე და დაიწყო პაპამ მეფური ცხოვრება. ცოტას ვიპარავდი, მაგრამ ვმუშაობდი კიდეც და მივხვდი, რომ საქართველოში თუ არ ჩავიდოდი, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, თუმცა... პუტინმა რომ „სკატავოზებით“ გამოუშვა ხალხი, ხომ გახსოვს?! ყველას რომ იჭერდნენ და აქეთ აგზავნიდნენ?! სახლში ჩავიკეტე, ჩემს რუს ძმაკაცს მოჰქონდა საჭმელი და გარეთ არ გავდიოდი, მაგრამ მეზობლებმა ჩამიშვეს ალბათ და სახლში მომადგნენ. ასე ჩამოვედი საქართველოში, აეროპორტში ვიღაცას არ მოვეწონე, გადაამოწმეს თითის ანაბეჭდების ბაზაში და გაქცევის ბრალდებით სამი წელი მომცეს, ზედ ის ცხრა თვე დამიმატეს, რაც სროკი მქონდა დარჩენილი და აგერ, ვზივარ ახლა და ამ ამბავს გიყვები“.

„კი, მაგრამ, ასე მითხრეს, ათი წელი აქვსო?!“

„მაგ სროკს არ ვაღიარებ. ვიღაცის დაყაჩაღება შემტენეს. მაშინ, რომ გავიქეცი, იმ წელს მომხდარა. მე უკვე რუსეთში ვიყავი. არ მიყაჩაღია... არასოდეს მიყაჩაღია, ისე, ვიპარავდი ხოლმე. გინდა სიმართლე გითხრა?! ერთი დღე რომ მქონდეს დარჩენილი და გაქცევის შანსი გამოჩნდეს, თავს ალბათ, მაინც ვერ შევიკავებ. დიდი, ძალიან დიდი ხიბლი აქვს „სვაბოდას...“



# კობა დავითაშვილისა და თემურ ქეცბაიას შედარებითი დახასიათება ანუ რა ფასი აქვს თემურის სიტყვას

გიორგი იაშვილი

**ცოდვა გამხელილი სჯობსო და, როცა საპრეზიდენტო არჩევნების წინ კობა დავითაშვილმა განაცხადა, მინიმალურ ბარიერს თუ ვერ გადავლახავ, პოლიტიკიდან გავქრებიო, არ დავიჯერე. იმიტომ არ დავიჯერე, რომ ქართულ პოლიტიკაში კაცური სიტყვა ბევრისგან მომისმენია, სიტყვის შემსრულებელთა რაოდენობა კი აშკარად ცოტაა. დავითაშვილი პოლიტიკიდან არ წასულა, ისევ პარლამენტარია, მაგრამ შეიძლება ითქვას, თავისი სიტყვა შეასრულა — პარლამენტში ვალოდია ჯინჭარაძესავით ზის და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობს.**



ისიც მახსოვს, ქვეყნის ყოფილმა პირველმა პირმა საჯაროდ რომ თქვა, ჩემს გადაფურთხებულს არ ავლოკავო და მერე თავისი თუ სხვისი წლების განმავლობაში იმდენჯერ ალოკა, სათვალავი აგვერია. მიუხედავად ამისა, ქართველებს მოთმინების დიდი უნარი გვაქვს და ვუთმენდით მასაც, სხვასაც და ისე ჩანს, კიდევ ბევრს მოვუთმენთ თუ მოვითმენთ.

ყველაფერი ეს კი იმიტომ გავიხსენე, რომ წესითა და რიგით, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მწვრთნელის გარეშე უნდა დარჩეს. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ თემურ ქეცბაია კაცურ სიტყვას შეასრულებს და თანამდებობას დატოვებს. მართალია, ძალიან ძნელია, დღევანდელ დღეს დატოვო პოსტი, სადაც თვეში ასი ათას დოლარს გიხდიან, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს სიტყვა დევს და ეს სიტყვა სწორედ ქეცბაიას აქვს ნათქვამი.

**„თუ შევატყობ, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დაკარგა, თანამდებობიდან წავალ. ამას კი მაშინ შევატყობ, თუ საწყის ორ შეხვედრას წავაგებთ. პირველი ორი მარცხის შემდეგ, ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად, დაკარგული გვექნება და ეს ყველაზე კარგად მე ვიცი“,** — განაცხადა ევროშესარჩევის დაწყების წინ ქეცბაიამ.

შესაბამისად, ჯერ ირლანდიასთან თბილისში და ახლა შოტლანდიასთან გლაზგოში ჩვენი გუნდი დამარცხდა. განსაკუთრებით მტკივნეული გადასატანი ბოლო მარცხი იყო, რადგან ისე წავაგეთ. კარის ჩარჩოში ბურთი ერთხელაც ვერ გავგზავნეთ ანუ 90 წუთის განმავლობაში, შოტლანდიას მეკარე რომ არ ჰყოლოდა, გოლი მაინც არ გავიდოდა, რადგან კარისკენ არ დაგვირტყამს. გეთანხმებით, ძნელი გადასატანია ეს ამბავი, მაგრამ ციფრები არასოდეს ტყუიან და ვაი, რომ ამ გრაფაში ნული გვიწერია. ის, რომ ქეცბაია შოტლანდიაში მარცხის შემდეგ თანამდებობიდან უნდა წავიდეს, გლაზგოშიც იცოდნენ. აკი, ჰკითხეს კიდეც ჩვენი ნაკრების თავკაცს, მარცხის შემთხვევაში წასვლა ხომ არ გადაიფიქრეთო, რაზეც ქეცბაიამ ორაზროვანი პასუხი გასცა: „არ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ბოლო მატჩი იქნება ნაკრებში“.

ქეცბაია ყველაზე ხანგრძლივად შემორჩა ეროვნულ ნაკრებს — ჩაატარა ყველა ექსპერიმენტი, რომელსაც კი ქართველი გულშემატკივარი თავის დროზე ითხოვდა: იყო ხანგრძლივად პოსტზე, ითამაშა შედეგზე ორიენტირებული და არასანახაობრივი ფეხბურთი, მაგრამ არაფერმა გაამართლა. უფრო ზუსტად, ან ფეხბურთელებმა ვერ გაიგეს, რა სურდა ამ ხუთი წლის განმავლობაში ქეცბაიას, ან პირიქით, ქეცბაიამ არ იცოდა, როგორ მოერგო საკუთარი ტაქტიკა ნაკრებისთვის. შედეგად, ნაკრების არაერთი წევრი ქეცბაიას ღიად დაუპირისპირდა და ეროვნულიდანაც წავიდა. ნაკრები თითქმის მთლიანად გადახალისდა, მაგრამ ამ გადახალისებული შემადგენლობით ძირითადად მეტოქე ხალისობდა.

ახლა გიბრალტართან შეხვედრა გველის და სერიოზული ეჭვი მაქვს, ქეცბაია ამ შეხვედრას ელოდება. გიბრალტარის ნაკრები შესარჩევს პირველად თამაშობს და იმ იშვიათთაგანია მსოფლიოში, ჩვენზე სუსტ გუნდად რომ ითვლება. საწყის ორ ტურში, გიბრალტარმა ერთნაირი ანგარიშით 0:7 წააგო ჯერ პოლონეთთან, მერე კი — ირლანდიასთან და სავარაუდოდ, საქართველოსთანაც წააგებს, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს საფუძველი, რომ ნაკრების პროგრესზე ვისაუბროთ. მით უმეტეს, ქეცბაიას კაცური სიტყვა აქვს ნათქვამი, საწყის ორ ტურში მარცხის შემთხვევაში, ნაკრებიდან წავალო...

**P.S. ერთხელ, როცა დავით ყიფიანი „დინამოს“ წვრთნიდა, სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა დაუსტვინა. პრესკონფერენციაზე დავიდოვიჩს გულისტკივილი არ დაუმალავს, სტვენას არ ვიმსახურებო. მერე იყო, ჩემმა კოლეგამ რომ უთხრა, ბატონო დავით, გულშემატკივარი ფეხბურთელ ყიფიანს კი არა, მწვრთნელ ყიფიანს უსტვენს, თორემ ის დიდი ათიანი, რომელიც მოედანზე სასწაულებს სჩადიოდა, ისევ გულით უყვარსო. ამის მერე ბატონ დავითს შუბლი გაეხსნა და ღიმილით თქვა, როცა შევატყობ, რომ აღარაფრის შეცვლა შემიძლია, თავად წავალ, სტვენას არავის დავაწყებინებო. თქვა და წავიდა. დიდ ფეხბურთელად და დიდ მწვრთნელად დარჩა ყიფიანი ისტორიას... სიტყვის კაცად.**

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 5 | | | 1 | |
| | 1 | | | | 7 | | | 5 |
| | | 8 | 2 | | | | 4 | |
| 5 | 2 | | | | | | | |
| | 3 | 6 | | | | 9 | 8 | |
| | | | | | | | 2 | 1 |
| | 4 | | | | 2 | 3 | | |
| 3 | | | 6 | | | | 5 | |
| | 7 | | | 8 | | 6 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 4 | | | | 1 |
| | 4 | | | | 9 | | 7 | |
| | 3 | 2 | | | | 9 | | 4 |
| | | | | | 2 | 3 | 1 | |
| | | | 7 | | 8 | | | |
| | 2 | 9 | 5 | | | | | |
| 2 | | 8 | | | | 6 | 3 | |
| | 1 | | 3 | | | | 5 | |
| 7 | | | | 8 | | 1 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 5 |
| | 3 | | 8 | 7 | | 2 | | |
| 1 | | 4 | | 2 | 9 | | | 7 |
| 6 | 9 | | 7 | | | | | |
| | | 1 | | 3 | | 8 | | |
| | | | | | 8 | | 4 | 6 |
| 2 | | | 4 | 9 | | 3 | | 8 |
| | | 5 | | 8 | 1 | | 7 | |
| 8 | | | | | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 5 | 2 | | 1 | 9 | | |
| | 4 | | | | | | | |
| 2 | 1 | 9 | | | | | | 8 |
| | | | | | 9 | | 7 | 5 |
| | | | | 3 | | | | |
| 4 | 7 | | 1 | | | | | |
| 1 | | | | | | 4 | 5 | 6 |
| | | | | | | | 8 | |
| | | 2 | 4 | | 7 | 1 | | 9 |



# სახლიდან პაბში გვირაბი გაიყვანა

ჩრდილოეთ ირლანდიელი სანტექნიკოსი პეტსი კერი 15 წლის განმავლობაში თხრიდა გვირაბს, სახლიდან ცოლს რომ გაქცეოდა და ბარში ლუდი დაელია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მამაკაცი მიწისქვეშა გასასვლელს საკუთარი საწოლის ქვეშ თხრიდა, საიდუმლო გზას კი პირდაპირ ადგილობრივ პაბში მიჰყავდა, რომელიც მისი სახლიდან 250 მეტრში მდებარეობს. კერი ამბობს, რომ გვირაბის იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც 1994 წელს ნახა ფილმი „გაქცევა შოუშენკიდან“. რაკილა მის ცოლს ღრმა ძილით ეძინა ხოლმე, გვირაბის თხრა პირდაპირ საწოლის ქვეშიდან დაიწყო. საამისოდ ყველანაირ ინსტრუმენტს იყენებდა: კოვზებს, ნიჩაბს, ლომს და ბურღსაც კი, როცა საკუთარ ოთახს რამდენიმე ათეული მეტრით მოშორდა. გათხრილი გვირაბის საიდუმლო შემთხვევით გამჟღავნდა, როცა მეზობელ სახლში კანალიზაციის მილი ჩავარდა. ამის გამო სანტექნიკოსი ქალაქის სასამართლოს წინაშე წარსდგა.

# მიკრობების ზოოპარკი გახსნეს




რამდენიმე დღის წინ ამსტერდამში მიკროპია — მსოფლიოში პირველი, მიკრობების ინტერაქტიური ზოოპარკი გაიხსნა. დაწესებულება ქალაქის ზოოპარკის გვერდით მდებარეობს, რომლის დირექტორიც მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა, მნახველისთვის არა მხოლოდ მაკრო, არამედ მიკრო ცოცხალი ბუნებაც გაეცნო. მიკრობების ზოოპარკი ლაბორატორიას ჰგავს. მისი ექსპონატები — უამრავი მიკროსკოპია, რომლებიც დიდ ეკრანებსაა მიერთებული. მნახველებს შეუძლიათ, დააკვირდნენ სინჯარაში მყოფ ბაქტერიებს. მიკროორგანიზმების გამრავლების დემონსტრირებას სპეციალური სამგანზომილებიანი მიკროსკოპით ახდენენ. წარმოდგენილია ასევე ებოლას ვირუსის გიგანტური მოდელი. სპეციალური სკანერის მეშვებით კი მნახველს შეუძლია გაიგოს, რამდენი მიკრობი ცხოვრობს მის სხეულზე. შეყვარებულებს შეუძლიათ ერთმანეთს აკოცონ და გაიგონ, რამდენი ბაქტერია გადასდეს ერთმანეთს ვნებიანი ამბორისას. ჩვენი მიზანია, ხალხს ვაჩვენოთ, რომ ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და მიკრობები ამ კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილია, — აცხადებს მიკროპიის დირექტორი.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 1 | 8 | 7 | 3 | 2 | 6 | 4 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 5 | 2 | 4 | 8 | 7 | 9 | 6 |
| 2 | 9 | 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 8 | 1 |
| 6 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 5 | 6 | 9 | 2 | 7 |
| 7 | 2 | 9 | 4 | 8 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 5 | 6 | 3 | 7 | 9 | 2 | 1 | 4 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 1 | 9 | 4 | 6 | 2 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 7 | 1 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 |
| 5 | 9 | 2 | 4 | 6 | 7 | 8 | 3 | 1 |
| 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 9 | 5 | 8 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 2 | 7 | 9 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 7 | 2 | 5 | 6 | 1 | 3 | 4 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 7 | 9 | 5 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 1 |
| 5 | 1 | 6 | 7 | 3 | 8 | 4 | 2 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 2 | 8 | 1 | 7 | 4 | 3 | 6 |
| 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 |
| 4 | 8 | 3 | 7 | 6 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 2 | 6 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 |
| 7 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 5 | 7 | 9 | 2 | 4 | 8 | 6 | 1 | 3 |
| 1 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 | 8 | 4 | 2 |
| 8 | 2 | 4 | 1 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 |

მე-10 გვერდი: 1. აზბესტი; 2. ზლოტი; 3. ეპოქა; 4. ტალკი; 5. ბროკერი; 6. რევერსი; 7. კუკარაჩა; 8. რადა; 9. სოფოკლე; 10. რალენტანდო; 11. „ნივა“; 12. არსი; 13. ავოკადო; 14. ეტრუსკები; 15. ბრაჰმანი; 16. დიოდი; 17. ბრერა; 18. პირანია; 19. სულავესი; 20. ამია; 21. ელეგია; 22. სტარტი; 23. აჯიკა; 24. გირჩა; 25. დაჰაუ; 26. მინორი; 27. ემალი; 28. უდე; 29. ჯუნგლი; 30. სუ; 31. ალიგოტე; 32. გრო; 33. ნაღმი; 34. ადონისი; 35. ატონი; 36. რუანი; 37. მეანი; 38. მენი; 39. ალია; 40. გროგი; 41. ირი; 42. მარკა; 43. ტანგო; 44. ელისო; 45. რობაია; 46. ნოა; 47. აბი; 48. ირისი; 49. სოს; 50. მენუეტი; 51. ირონია; 52. ნოღაი; 53. კუბი; 54. კიბე; 55. ბუ; 56. ნინიძე; 57. კილო; 58. აბა; 59. აბაკა; 60. ძუ; 61. ილიე.

მე-12 გვერდი: 1. „იუვენტუსი“; 2. ბოჟოლე; 3. ისრაელი; 4. ვაზელინი; 5. ნუაქშოტი; 6. ბენჟამენი; 7. ჟივაგო; 8. ლარი; 9. პრიზმა; 10. კეკელა; 11. „შალკე“; 12. ნავარა; 13. აკრი; 14. ამტი; 15. კლეი; 16. მოკო; 17. აკრი; 18. აბგა; 19. ევა; 20. ნოვიხი; 21. ვუვუზელა; 22. ხურმა; 23. ლევ; 24. ბარათაშვილი; 25. რიფი; 26. მენელაე; 27. ჰაიტი; 28. იდა; 29. იაბო; 30. კრივი; 31. არაყი; 32. ჰიუ ჯეკმანი; 33. იაფეტი; 34. არიფანა; 35. არამისი; 36. ცერი; 37. ფაუ; 38. მაუდი; 39. იგოეთი; 40. სერ; 41. ოყა; 42. არომატი; 43. ლიტი; 44. ტაჯიკეთი; 45. ლაიმი; 46. საბზა; 47. ალაგე; 48. არა; 49. ოე; 50. იოკასტე; 51. საპორო; 52. აკაცია; 53. აშარი; 54. მეთანი; 55. სიმდი; 56. ოკა; 57. ემპათია; 58. ჰერ; 59. კარამელი; 60. ევრო; 61. მათე; 62. თოვლი; 63. ადელი; 64. აული; 65. აზუა; 66. ლანთანი; 67. კომა; 68. რკინის; 69. ერი; 70. ბზე; 71. ლჰასა; 72. პუტჩი; 73. ჩუდრა; 74. ია; 75. რამპა; 76. დიორი; 77. სელიე; 78. კუ; 79. ურდულ 80. ელი; 81. ბისო; 82. კალო; 83. აბაი; 84. ლილვი; 85. კელა; 86. კიბო.



# ტკბილეული არ გვასუქებს?

ამერიკელი დიეტოლოგების დაკვირვებით, ტკბილეულის დიდი რაოდენობით მიღება ადამიანის ჯანმრთელობასა და აღნაგობაზე უარყოფითად არ აისახება. ეს უჩვეულო ექსპერიმენტი შეერთებულ შტატებში 5 ათას ადამიანზე ჩაატარეს. მასში მონაწილე პირები ორ ჯგუფად დაყვეს: ნაწილი ყოველდღე დიდი რაოდენობით ტკბილეულს მიირთმევდა, მეორე ნაწილი კი — შეზღუდვით. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული სხვაობა ამ ადამიანების წონის მატებასა და კლებას შორის არ ყოფილა. ამდენად, დიეტოლოგებმა ახალი აღმოჩენა გააკეთეს და განაცხადეს, რომ ტკბილეულის მიღებასა და სიმსუქნეს შორის კავშირი არ არსებობს. თუმცა, არის ერთი წინააღმდეგობა — დიდი რაოდენობით პირის ჩასატკბარუნებელი უარყოფით გავლენას ახდენს კბილებზე და დიაბეტით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობაზე. ექსპერიმენტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ტკბილეულის მიღების შემთხვევაში, ადამიანი მხოლოდ 44 კალორიას იღებს, რაც რეკომენდებული კალორიების მხოლოდ 2%-ია. დიეტოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ ტკბილეული ორგანიზმში გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკსაც არ ზრდის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ჩვენს ჯანმრთელობას არანაირად არ ვნებს.



- 1. ბიბლიური დავითის იარაღი
- 2. ბალახების ნაყენით და ღვინით დამზ. სასმ.
- 3. სანთლის ჩასადგმელი
- 4. მოულოდნელი შემოწმება
- 5. ჯეიმს ჯოისის რომანი
- 6. ცისარტყელას ქალღმერთი
- 7. ბულგარელი წინასწარმეტყველი
- 8. სულელი, ბრიყვი, უმეცარი
- 9. ასტრონომიის მფარველი მუზა
- 10. მშვილდით სასროლი ჯოხი
- 11. „ნისან მოტორის" ავტომარკა
- 12. რაიმე საქმის დოკუმენტთა ერთობლიობა
- 13. ფრანგი მსახიობი ფილიპ ...
- 14. ქალის გამჭვირვალე პირბადე
- 15. ასოების გადასმით მიღებული სიტყვა
- 16. მექანიკის ნაწილი
- 17. „ახალი ქალაქი" იტალიაში
- 18. მუნის გამომწვევი პარაზიტი
- 19. პირველი სიტყვა სატელეფ. საუბარში
- 20. ლიმფური კვანძის ანთება
- 21. ცხვირვიწრო მაიმუნი
- 22. გრიგალის ქალღმ. ბერძნ. მითოლოგიაში
- 23. პროსპექტის სახელი ესპანეთში
- 24. ძაფისებური წანაზ. ადამიანის თავზე
- 25. ადამის და ევას ვაჟი, აბელის მკვლელი
- 26. ირანის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი
- 27. ერთი სახელმწიფოს ბატონობა სხვა სახელმწიფოებზე
- 28. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
- 29. ბრიტანელი მოგზაური, მეცნიერი და მწერალი ტიმ ...
- 30. გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
- 31. ქართველთა წმინდანი ქალი
- 32. ამერიკელი კინორეჟისორი
- 33. ჯონათან სვიფტის ლიტერატ. გმირი
- 34. საბანკო შეტყობინება
- 35. ტომ სოიერის დეიდა
- 36. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
- 37. ფუჭი, უშედეგო
- 38. დატოტვილრქებიანი ცხოველი
- 39. გაფუჭე-ბული ღვინო
- 40. უბედურების საერთაშ. სიგნალი
- 41. სასწორის თეფში
- 42. გიტარის მავთული
- 43. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი
- 44. ქაჯანას და
- 45. ცოლის დის ქმარი
- 46. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
- 47. იაპონური მახვილი
- 48. მძინარე მზეთუნახავის სახელი
- 49. ძვ. საბერძნეთის ერთ-ერთი გამოჩ. ქალი
- 50. ტაჯიკური ლიტერატ. კლასიკოსი
- 51. დიდი ჯოხი
- 52. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში"
- 53. გრძელტარიანი სპარსული ჩონგური
- 54. იტალიის დედაქალაქი
- 55. ნაბიჯი ბალეტში
- 56. ტკბილი კარტოფილი
- 57. დროის დიდი მონაკვეთი
- 58. ლითონზე შესრულებული გრავიურის სახეობა
- 59. პირის ღრუს ზედა ნაწილი
- 60. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
- 61. დაფქვის საზღაური წისქვილში
- 62. ყაჩაღი, ავაზაკი სამეგრელოში
- 63. ამაზონის დელფინი
- 64. პატარა ფოსო მუცელზე

# ბეჭდისთვის ოქროს მთაში ეძებდა



რომანტიკოსი შეყვარებული ჯონ გრინვუდი წელიწადნახევარი მოიპოვებდა შოტლანდიის მთებში ოქროს, მისგან საქორწინო ბეჭდები რომ დაემზადებინა. 18 თვის განმავლობაში ბრიტანელმა მამაკაცმა ოქროს ათასობით ნამცეცი მოაგროვა, რომელიც შემდეგ სამკაულისთვის იუველირს მიუტანა. სპეციალისტმა 48 წლის გრინვუდისა და მისი საცოლის, მორაგ შირერისთვის ორი ბეჭედი გააკეთა. წყვილმა გასულ კვირას იქორწინა ანტიგუას კუნძულზე. როგორც სიძემ აღიარა, განუმეორებელი გრძნობა დაეუფლა, როცა პატარძალს თითზე ბეჭედი გაუკეთა. შოტლანდიური ოქრო მეტად იშვიათად ითვლება. ექსპერტების თქმით, ბრიტანელს გაუმართლა, რადგან ზოგიერთი ოქროსმაძიებელი ამ რაოდენობის მეტალის მოძიებას მთელ ცხოვრებას ანდომებს.

# ხვრინვას სიმღერა შველის



ქრონიკული ხვრინვისგან თავის დასაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი იმღეროთ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი ოტოლარინგოლოგები. ადამიანები, რომლებიც ძილში საშინელ ხმებს გამოსცემენ, არა მხოლოდ თავად განიცდიან სირთულეს, არამედ მათ გვერდით მყოფ ადამიანებსაც უწამლავენ ცხოვრებას. დღემდე არ არსებობს წამალი, რომელიც ეფექტურად შეებრძოლებოდა ამ უსიამოვნო მოვლენას. ხვრინვა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესაც, რადგან ძილში ხდება სუნთქვის რამდენიმე წამით შეჩერება. ის, რომ სიმღერა შესაძლოა ერთგვარი წამალი იყოს ხვრინვის წინააღმდეგ, სწავლულებს შემთხვევით არ უფიქრიათ. საქმე ის არის, რომ ხვრინვის ძირითადი მიზეზი ხახის რბილი კუნთების დასუსტებაა და როცა ჰაერი სასუნთქ გზებს გადის, ხდება ხმაურიანი ვიბრაცია. სიმღერის დროს კი დატვირთვა სწორედ ამ კუნთებზე მოდის, ანუ ხდება მათი აქტიური გავარჯიშება. ასე რომ, თუ ადამიანი რეგულარულად მღერის, კუნთები ტონიზირდება, რაც ღამე ხვრინვის ეფექტურ პროფილაქტიკას უზრუნველყოფს. ამ თეორიის დასამტკიცებლად სწავლულებმა გამოკვლევაც ჩაატარეს 127 მოხალისეზე. შედეგმა აჩვენა, რომ ადამიანები, ვინც დღეში 20 წუთი და მეტი რეგულარულად მღეროდნენ, ნაკლებად ხვრინავდნენ.

# მარტოხელებისთვის სამაჯური შექმნეს



მარტოხელა ახალგაზრდები პარტნიორს სხვადასხვა ხერხით ეძებენ. დღეს მსოფლიოში ძალიან პოპულარულია გაცნობის საიტები და სოციალური ქსელები, მაგრამ ბრიტანელმა დიზაინერებმა, რინა მარდალმა და რობ იანგმა ამ საქმისთვის ორიგინალური ხერხი მოიფიქრეს — სამაჯური მარტოხელებისთვის. მასზე ამოტვიფრულია „მატროხელა ვარ", რაც საპირისპირო სქესს მისი მფლობელის სტატუსს უმალ აცნობებს. თუკი დაოჯახებულ ადამიანს თითზე საქორწინო ბეჭდით ამოვიცნობთ, მარტოხელებისთვის საამისოდ სამაჯური შევქმენით, — ამბობენ დიზაინერები. 21-ე საუკუნეში ასეთი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება და სწორედ ამიტომ, მათ ერთმანეთთან საკონტაქტოდ თანამედროვე საშუალებები სჭირდებათ. წარმოიდგინეთ, კლუბში შეხვედით და ვინმე მოგეწონათ, მაგრამ მასთან გასაუბრებას ვერ ბედავთ, რადგან არ იცით, ჰყავს თუ არა პარტნიორი. ხოლო როცა მის ხელზე ამ სამაჯურს დაინახავთ, მაშინვე მიხვდებით, რომ მისი გაცნობა ღირს, — აცხადებენ სიახლის ავტორები. სამაჯური შვიდი სხვადასხვა ფერისაა და მისი ღირებულება 6 გირვანქა სტერლინგია.

# ბიზნესი ტარაკანზე ააწყო



რამდენიმე წლის წინ ჩინელი ინჟინერი სამსახურიდან წამოვიდა, სოფელში დასახლდა და ფერმერი გახდა. მოშენებით კი უჩვეულო „შინაური" არსებები — ტარაკნები მოამრავლა. 32 წლის მამაკაცმა ამ ბიზნესით დაკავება მაშინ გადაწყვიტა, რაც მეგობარმა ფარმაცევტმა უთხრა, რომ ეს მწერები მედიცინაში გამოიყენება იაფი პროტეინისა და ამინომჟავების მისაღებად. იმის გამო, რომ ტარაკნები პრაქტიკულად ყველაფერს ჭამენ, მათი მომრავლება ხარჯიანი არ არის. ფერმერი დღეში ერთხელ დამპალი ბოსტნეულის, მარცვლეულის, პურის ნარევს და გაზეთებსაც უყრის. ერთი კილო გამომშრალი მწერი 16 დოლარი ღირს. მამაკაცის თქმით, ეს კარგი ფასია და წელიწადში 24 ათასი დოლარის გამომუშავების საშუალებას აძლევს.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | | 3 | |
| | | | 6 | | | | | 4 |
| 8 | | 3 | 5 | | | 1 | | 6 |
| | 1 | 6 | | | | | 2 | 3 |
| | | | 3 | | 2 | | | |
| 5 | 3 | | | | | 9 | 1 | |
| 6 | | 7 | | | 3 | 2 | | 1 |
| 4 | | | | | 9 | | | |
| | 2 | | | | 6 | | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | | | | |
| 3 | | | | 9 | | 7 | | |
| 2 | | 7 | 4 | 6 | | 5 | | |
| 5 | 1 | | | | 7 | | | |
| 7 | | | 2 | | 5 | | | 4 |
| | | | 3 | | | | 7 | 5 |
| | | 8 | | 5 | 1 | 9 | | 6 |
| | | 6 | | 3 | | | | 7 |
| | | | | | | | 8 | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 6 | | | | 1 | |
| | 6 | 5 | | | 4 | | | |
| | | 8 | | 1 | | | | |
| | | | | 9 | | | 5 | 3 |
| | | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | | |
| 4 | 2 | | | 6 | | | | |
| | | | | 5 | | 8 | | |
| | | | 1 | | | 7 | 3 | |
| | 7 | | | | 6 | | | 9 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | 4 | 1 | | 2 | 9 |
| | 2 | 3 | 9 | | | 5 | | |
| 1 | | 4 | | | | | | |
| | 7 | 1 | | | | | | |
| | | | 7 | | 2 | | | |
| | | | | | | 6 | 3 | |
| | | | | | | 2 | | 3 |
| | | 8 | | | 3 | 7 | 1 | |
| 2 | 3 | | 1 | 7 | | | | 8 |

## ღეროვანი უჯრედები ბრმებს თვალს აუხელს



ბრიტანელმა მეცნიერებმა საუთჰემპტონის უნივერსიტეტიდან აღმოაჩინეს სიბრმავის ყველაზე გავრცელებული ფორმის მკურნალობის მეთოდი სპეციალური ღეროვანი უჯრედების მეშვეობით, რომელიც თვალის ზედაპირზე დააფიქსირეს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ამ უჯრედების აღება რქოვანას ნაპირიდან (ლიმბა) შეიძლება. მათი ფოტორეცეპტორებად ტრანსფორმირება ხდება, რომელთა უჯრედების დაკარგვა შეუქცევად სიბრმავეს იწვევს. სწავლულების თქმით, ეს უჯრედები ადვილად მისაწვდომი და საოცრად პლასტიკურია, რაც მიმზიდველი რესურსია თვალის დაავადებათა თერაპიისთვის. რქოვანად აღებული უჯრედები თავიდან აგვაცილებს ისეთ გართულებებს, როგორიცაა უჯრედების უარყოფა ან ინფექცია, რადგან დონორი და პაციენტიც ერთი და იგივე ადამიანი იქნება. მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ღეროვანი უჯრედები ასაკოვანებსაც აქვთ და მისი აღება 97 წლის ადამიანისგანაც შეიძლება. ვიდრე ამ უჯრედებს სიბრმავის წინააღმდეგ გამოიყენებენ, სწავლულებმა დამატებითი კვლევის სერია უნდა ჩაატარონ.

## კოფეინი მხედველობას იცავს



ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს თვალის უნარს, გამოიმუშავოს ცრემლი. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემს, დაიხვეწოს ე.წ. მშრალი თვალის სინდრომის მკურნალობის მეთოდიკა. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიც არის თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ვინც კოფეინს იღებდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც შედარებით მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტების მიმართ. „მშრალი თვალის“ სინდრომის არსებობისას კი, სწავლულები გვირჩევენ, აუცილებლად სპეციალისტს მიმართოთ.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


## „ა“-ვიტამინი სიმსივნეს კრენს?




„ა“-ვიტამინი დიდი ხანია მედიკოსებისთვის ცნობილია, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი. ის ორგანიზმს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში ეხმარება და ონკოლოგიური დაავადებებისგან გვიცავს. ამის მიუხედავად, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ „ა“-ვიტამინის შემცველი დანამატების მიღება სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა. ადამიანის ორგანიზმში „ა“-ვიტამინი გარდაიქმნება ორგანოების ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ბეტა-კაროტინად. ბუნებრივი სახით ის გვხვდება ფოთლოვან ბოსტნეულსა და სტაფილოში. გარდა ამისა, ეს ვიტამინი შედის, პრაქტიკულად, ყველა ვიტამინურ კომპლექსში. პრეპარატებიდან იწარმოება ბეტაკაროტინი, რომელიც აქამდე მიაჩნდათ, რომ ძალიან სასარგებლოა მწეველებისთვის — მისი მიღებით ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა კიბოს უჯრედების მიმართ იზრდება. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის სპეციალისტებმა შეამოწმეს, რამდენად არის შესაძლებელი ბეტა-კაროტინის ბაზაზე საკვები დანამატის შექმნა, რომელიც ონკოდაავადებებს გაუმკლავდება. მათი 8-წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნური სახით, ეს ვიტამინი სულ სხვაგვარად მოქმედებს — კი არ ამცირებს, არამედ ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა რისკს. მაჩვენებლები ექსპერიმენტის მონაწილეებში 25%-თ გაიზარდა, რის გამოც ის სასწრაფოდ შეწყვიტეს. სპეციალისტები გვირჩევენ, დიდი დოზით „ა“-ვიტამინი ბუნებრივი სახით, საკვებიდან მივიღოთ.

## კიბოზე პასუხისმგებელი გენი აღმოაჩინეს



ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც უშუალო კავშირშია დაბერების პროცესსა და სიმსივნესთან. სპეციალისტებმა სამი ბიჭი გამოიკვლიეს, რომლებიც მაროკოდან და ავსტრალიიდან იყვნენ. სამივეს ღვიძლის სიმსივნე განუვითარდა და ორი მათგანი ჯერ კიდევ მოზარდობისას დაიღუპა. სამივე ბიჭს ნაადრევი დაბერების არსებითი ნიშნები აღმოუჩინეს — ქრომოსომათა არასტაბილურობა, სხეულის მცირე წონა, ლიპოდისტროფია და კუნთების დეგენერაცია. გამოსაცდელთა გენეტიკური კოდის საგულდაგულოდ შესწავლისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს ერთი გენი, რომელიც დაზიანებული იყო სამივე შემთხვევაში. გენი SPRTN ძალიან მნიშვნელოვანია მუტაციების თავიდან ასაცილებლად. ვისაც ამ გენის დაზიანებული ვერსია აქვს, მეტად სუსტია მუტაციების მიმართ. ამ შემთხვევაში მუტაცია ძალიან სწრაფად ჩნდება, რის შედეგადაც ორგანიზმი დაბერების ადრეულ ნიშნებს ავლენს. იმის გაგება, როგორ ბერდება ადამიანი და როგორ წარმოიშობა სიმსივნე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მეთოდების შემუშავებისა და ეფექტური მკურნალობისთვის, — ამბობენ სპეციალისტები.

1. დიდი ტალღა
2. ქალაქი ესპანეთში
3. ვიტამინის ნაკლებობით გამოწ. დაავ. ბავშვებში
4. სამხედრო ყაიდის წელში გამოყვანილი ქურთუკი
5. ჯუზეპე ვერდის ოპერა
6. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი
7. ცხენის ჩლიქი
8. ლეგენდარული ტროას მეორე სახელწოდება
9. ბებერი მგელი ვაჟას შემოქმედებიდან
10. სიკვდილისწინა მდგომარეობა
11. ვაჭრების მეთაური „ვეფხისტყაოსანში“
12. ქართული მინერალური წყალი
13. სიგრძის საზომი ერთეული ძვ. საქართ.
14. „უთავო მხედრის“ პერსონაჟი
15. გრაფი ... „დათა თუთაშხიაში“
16. ბიბლიური იაკობის ძმა
17. ერთუჯრედიანი მიკროსკ. მწვანე წყალმცენარე
18. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
19. ბანქოს კომბინაცია პოკერში
20. მხარე, მიდამო
21. ნახევარკუნძული ციმბირის ჩრდილოეთით
22. წყლის გრაციოზული ფრინველი
23. გასეირნება ბავშვის ენაზე
24. მდინარე იტალიაში
25. მემკვიდრეობის ფაქტორი
26. ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი
27. მეორე მსახიობი ძვ. ბერძნ. ტრაგედიაში
28. საბერძნეთის დედაქალაქი
29. ათოსის მსახური
30. ქიმიური ელემ. ატომი განსხვავებული მასით
31. შიშველი სხეული ფერწერაში
32. განის დედაქალაქი
33. აშშ-ის ტელეპრემია
34. რქებდახრილი ხარი
35. შავი გედი ბალეტ „გედის ტბაში“
36. მიქელანჯელოს ცნობილი სტატუა
37. გარეგნობა, შესახედაობა
38. ალეგორიული მოთხრობა
39. აპოლონის ქურუმი ქალი ბერძ. მითოლოგ
40. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ჭადრაკში
41. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
42. თავის ტვინის „რეზერვუარი“
43. ჩოგბურთელი ... ფედერერი
44. მზის სინათლის ვიწრო ზოლი
45. აშშ-ის მსახიობი ექსპრეზიდენტი
46. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
47. ხალხური კომედიის ჟანრი ძვ. რომში
48. ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაური სახელი
49. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
50. ძვ. ლოდსატყორცნი მანქანა
51. ყვითელი მინერალური საღებავი
52. სატელევიზიო შოუ „...?, სად? როდის?“
53. ებრაელთა სადღესასწაულო ხმიადი
54. იშვიათი, განუმეორებელი ეგზემპლარი
55. შვიდი ჯუჯას მეგობარი გოგონა
56. „ჭორიკანა“ ფრინველი
57. ესკიმოსის თვითსახელწოდება კანადაში
58. ღორის ცხვირი
59. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
60. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
61. სამოას დედაქალაქი
62. „მყარი“ დედამიწის გარსი
63. ფრანგ. მდიდრული მოდის დიზაინის სახლი
64. მეცნიერება სასოფლო-სამეურნეო წარმ. შესახებ
65. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
66. საუნივერსიტეტო ქალაქი გერმანიაში
67. ინდიელთა ტომი
68. ძვ. გრძელი საბჯენი ჯოხი
69. ვახტანგ კიკაბიძის მეტსახელი
70. თვალის კაკლის უნებური სწრაფი მოძრაობა
71. მამალი კვიცი
72. ცხენის გასარეკი შეძახილი
73. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
74. დიეზის და ბემოლის გასაუქმებელი ნიშანი
75. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
76. „ხუთის“ აღმნიშვნელი წინსართი
77. მათემატიკური ორწევრი
78. წილი საერთო საქმეში
79. ჯირკვლოვანი ორგანოს კეთილთვისებიანი სიმსივნე
80. შინაური ფრინველი
81. სანელებელი მცენარე
82. ფრანგული ყველის სახეობა
83. ძვ. ებრაელი წინასწარმეტყველი
84. ენაჩლუნგი
85. სიმინდის ხმელი ღერო და ფოთლები





## ბლოგებს ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდავენ

„ტვიტერის“ მომხმარებლებს მათი მიკრობლოგების ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდვა შესთავაზეს — სერვისი, რომელსაც Shitter უწოდეს, თვის დასაწყისიდან ამოქმედდა. მომსახურება გულისხმობს როგორც შემკვეთის ტექსტური შეტყობინებების, ასევე მისი მეგობრების ჩანაწერების ლენტის დაბეჭდვას ტუალეტის ქაღალდის ოთხ რულონზე. მომსახურების საფასური 35 დოლარს შეადგენს. შეკვეთის გადახდა PayPal-ის სისტემით არის შესაძლებელი. როგორც Shitter-შია მითითებული, სერვისი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ „ტვიტერის“ მიკრობლოგების სერვისი 2006 წელს ამოქმედდა, ყოველდღიურად კი ამ სოციალურ ქსელში მომხმარებელი 25 მილიონზე მეტ ჩანაწერს ტოვებს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.